ეროვნული ბიბლიოთეკა


ხვალ, 26 მაისს საქართველო აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს

# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 25 მაისი, 1997 წელი. №119 (2492)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ 45 თეთრი.


## გვილოცავენ

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები ეროვნულ დღესასწაულთან – საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის გამიზნული კურსი შეესაბამება ჩვენი ქვეყნების მისწრაფებებს, რომლებსაც მტკიცე საუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ.

გამოვთქვამ იმედს, რომ კიდევ უფრო განვითარდება და გაღრმავდება რუსეთისა და საქართველოს მრავალმხრივი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხების ინტერესებისათვის კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

გულწრფელი პატივისცემით,
**ბ. ელცინი.**
მოსკოვი. კრემლი.

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ჩემთვის დიდად სასიხარულოა გერმანელი ხალხის სახელით გადმოგცეთ გულითადი მოლოცვა 26 მაისის – საქართველოს ეროვნული დღესასწაულის გამო. მე ვიცი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დღეს უძველესი ქრისტიანული კულტურის ერისათვის, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

თქვენ და თქვენს ქვეყანას შეგიძლიათ იამაყოთ იმ წარმატებებით, რომლებსაც უკანასკნელ წლებში კონსტიტუციის საფუძველზე, დემოკრატიზაციისა და თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე მიაღწიეთ. შარშან თქვენს ქვეყანაში ჩემი ვიზიტის დროს დავრწმუნდი, რომ საქართველო ძალისხმევას არ იშურებს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. გარწმუნებთ, რომ გერმანია მომავალშიც ყველაფერს იღონებს თქვენი ქვეყნისათვის ამ გზის გასაკვალავად. სწორედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის გათვალისწინებით შევეცდებით დავეხმაროთ თქვენს ქვეყანას შიდა კონფლიქტების მოგვარებაში.

გისურვებთ თქვენ და თქვენს ქვეყანას მშვიდობას, თავისუფლებასა და ღვთის კურთხევას ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობისას, თქვენს წინაშე დასახული დიდი და მრავალრიცხოვანი ამოცანების გადაწყვეტაში.

**რომან ჰერცოგი,**
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

## მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გითვლით გულწრფელ მოლოცვას თქვენს ხალხსა და თქვენს აღმატებულებას.

ამ ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთისა და საქართველოს, აგრეთვე ჩვენი ხალხების ტრადიციული მეგობრობა განუხრელად მტკიცდება. ჩვენი ორივე სახელმწიფო არ იშურებს აქტიურ ძალისხმევას ყველა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩინეთი და საქართველო მომავალშიც განავითარებენ ურთიერთობას იმისათვის, რომ იგი თვისებრივად ახალ დონეზე დააყენონ. დაე, დღითი დღე ღრმავდებოდეს ჩინეთისა და საქართველოს ტრადიციული მეგობრობა. ვუსურვებ თქვენს ქვეყანას აყვავებასა და ძლიერებას, აგრეთვე ბედნიერებას თქვენს ხალხს.

**ძიან ძემინი,**
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.

## სახელმწიფო ჯილდოები – ღირსეულთ



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, 1995-1996 წლებში ქართული ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, პუბლიცისტიკის, სახვითი ხელოვნების დარგების განვითარებისა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 24 მაისს ჯილდოები და დიპლომები გადასცა სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს.

– მეამაყება, რომ დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის წინ გხვდებით და გადმოგცემთ სამშობლოს საპატიო ჯილდოებს,– მიმართა საზეიმო ცერემონიაზე დაჯილდოებულებს ედუარდ შევარდნაძემ, – ჩვენი ხალხის ნიჭიერებასა და გენიალურობას კვლავ ადასტურებს ის გარემოება, რომ, მიუხედავად ძნელბედობისა და გაჭირვებისა, საქართველოს კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სახელოვან მოღვაწეებს არ უღალატიათ ხალხის ინტერესებისათვის და აგრძელებდნენ ნაყოფიერ მოღვაწეობას, რაც ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენს 21-ე საუკუნეში ჩვენი სახელმწიფოს გამორჩეული ეროვნული პოტენციალის შენარჩუნებისა და შემდგომი აყვავებისათვის.

ედუარდ შევარდნაძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოზე, რომელმაც უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში აირჩია რეფორმისტული გზა და მოკლე პერიოდში მიაღწია საგრძნობ დადებით შედეგებს, დღეს მსოფლიო ლაპარაკობს, როგორც სამაგალითო სახელმწიფოზე, რაც მყარი წინაპირობაა ქვეყნის ერთიანობის, ჭეშმარიტად დემოკრატიულ და განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა დაჯილდოებულთ სამშობლოს ესოდენ მაღალი დაფასება და მადლობა გადაუხადა სახელმწიფო პრემიების კომიტეტს გამორჩეულ ადამიანთა ღვაწლისა და ამაგის დაფასებაში მაღალპროფესიონალური, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ობიექტური არჩევანის გაკეთებისათვის.

შეკრებილთ მიულოცა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, პოეტმა მურმან ლებანიძემ. დაჯილდოებულთა სახელით მადლობის სიტყვები წარმოთქვეს პოეტმა ლია სტურუამ, მსახიობმა დიმიტრი ჯაიანმა, ცნობილმა ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საინფორმო.

## პრეზიდენტმა შეიწყალა

### საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება

24 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა განიხილა შეწყალების საკითხთა კომისიის წინადადებანი ზოგიერთი კატეგორიის მსჯავრდებულთა შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება 316 პირის შეწყალების თაობაზე.

შეწყალებულთა შორის არიან არასრულწლოვანები, ქალები და ის პირები, ვინც პირველად იყო მსჯავრდებული ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის და სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდებიან დადებითად. საგულისხმოა, რომ შეწყალების ჰუმანური აქტი 26 მაისის დღესასწაულს უკავშირდება.

1997 წლის 24 მაისი.

## საზოგადოება

## სარწმუნოება სინდისის სინონიმია

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით იმძლავრა 90-იანი წლების დამდეგიდან დაწყებულმა კამპანიამ, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქთან ბრძოლის ნიღბით საერთოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და, საბოლოოანგარიშით, ერის ინტერესების წინააღმდეგ მიმდინარეობს. „თვითონ არც ესმით, რას სჩადიან და მტრის ხელში ბრმა იარაღს წარმოადგენენო“, გულისტკივილით თქვა უწმინდესმა განდგომილ ბერებზე. მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია თავის მაგინებლებზე, შხამის და ბალღამის სანთხევ რუპორად რომ იყენებენ ქართული პრესის მნიშვნელოვან ნაწილს. უსაზღვრო და უსასრულოა ჭეშმარიტ ქრისტიანთა მოთმინება. და ასევე უსასრულოა უსინდისობა, რომელიც მას უპირისპირდება. ოღონდ ეს სხვაგვარი უსასრულობაა, – წრეზე მავალი. „მრგვალი“ უსასრულობა.

და კიდევ. განხეთქილება ეკლესიაში ორად გაყოფას არ ნიშნავს. განხეთქილების შემტანი სცილდება ერთიან ეკლესიას, რომელიც განუყოფელია. ასეა ერშიც.

იხ. მე - 9 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№119, კვირა, 25 მაისი, 1997 წელი.

## გვილოცავენ

### მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

ნება მიბოძეთ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, საბერძნეთის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად მოვულოცო თქვენს აღმატებულებას და გადმოგცეთ თქვენი პირადი კეთილდღეობისა და საქართველოს ხალხის შემდგომი წინსვლისა და კეთილდღეობის გულითადი სურვილები.

**კონსტანტინოს სტეფანოპულოსი,**
საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

### მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ!

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით გითვლით გულწრფელ მოლოცვას. სიამოვნებით ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა ამავე დროს გადმოგცეთ თქვენ პირადი კეთილდღეობის საუკეთესო სურვილები და ვუსურვო ბედნიერი მომავალი საქართველოს ხალხს.

**თომას კლესტილი,**
ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი.

### მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ!

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოხარული ვარ ჩემი, ხორვატიის მთავრობისა და ხალხის ყველაზე გულთბილი მოლოცვა გადმოგცეთ თქვენ, თქვენს მთავრობასა და ხალხს. აყვავებას ვუსურვებ თქვენს ქვეყანას და კეთილდღეობას — თქვენს მოქალაქეებს.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი თქვენდამი ულრმესი პატივისცემის დასტური.

დოქტორი
**ფრანიო ტუჯმანი,**
ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.
ზაგრები

### მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს ეროვნული დღესასწაული მაძლევს საშუალებას ვისარგებლო შემთხვევით და ეს დღე მივულოცო თქვენს აღმატებულებას. აჩევე ყოველივე საუკეთესო ვუსურვო საქართველოს ხალხს.

**ბეატრიქსი,**
ნიდერლანდის სამეფოს დედოფალი.

### მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

ავსტრალიის ხალხისა და მთავრობის სახელით მაქვს პატივი გადმოგცეთ თქვენ, საქართველოს მთავრობასა და ხალხს ჩემი პირადი მოლოცვა ეროვნული დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა მომავალ წელს კიდევ უფრო გაღრმავდება და აყვავდება.

თქვენდამი ღრმა პატივისცემით,
**უილიამ დინი,**
ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორი.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 23 მაისი — ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს ორდენებით დაჯილდოების შესახებ**

მაღალი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების, საბრძოლო თვისებების მქონე სამამულო საბრძოლო იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის საცდელი ნიმუშების შემუშავება-შექმნის, მათი გამოცდისა და ჯარში დანერგვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და თავდადებული სამსახურისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ვანო გურგენიძე** — გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, შეიარაღების მთავარი სამმართველოს უფროსი.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**ანატოლი ლომიძე** — პოლკოვნიკი, შეიარაღების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, შტაბის უფროსი

**გიორგი თავაძე** — პოლკოვნიკი, ტექნიკური სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

**ბარონ ყურაშვილი** — პოლკოვნიკი, შეიარაღების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ღირსების ორდენით:

**ნიკოლოზ შარმაზანაშვილი** — კვლევითი ინსტიტუტის „დელტას" განყოფილების გამგე, დამუშავების მთავარი კონსტრუქტორი

**ალექსანდრე ჯინჯიხაძე** — კვლევითი ინსტიტუტის „დელტას" ლაბორატორიის უფროსი, დამუშავების მთავარი კონსტრუქტორი.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 23 მაისი — ქ. თბილისი

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

**მიხეილ ტყემალაძე** — პოლკოვნიკი, სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების სამმართველოს უფროსი

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

**გოჩა შინგაზრდილოვი** — მაიორი, სამხედრო საჰაერო ძალების შერეული მოიერიშე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის საავიაციო ესკადრილიის მეთაური.

**ვლადიმერ აჭლოხაშვილი** — უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო საჰაერო ძალების შერეული მოიერიშე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის საავიაციო ესკადრილიის მეთაურის მოადგილე; შტურმანი.

**ე. შევარდნაძე.**

## უკანასკნელ საათს

თეირანი. ირანის ისლამური რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ყოფილმა კულტურის მინისტრმა მუჰამედ ჰატამიმ, რომელმაც ორ-ნახევარჯერ მეტი ხმა დააგროვა უახლოეს მეტოქესთან ნეთექ ნურისთან შედარებით.

კიშინიოვი. გუშინ გაიმართა მოლდავეთის პრეზიდენტის პეტრე ლუჩინსკისა და დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერის იგორ სმირნოვის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. შეხვედრა კვლავ უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან დნესტრისპირეთი უარს ამბობს მოლდავეთის შემადგენლობაში ავტონომიური უფლებებით დარჩენაზე.

კაირო. აქ ისრაელის პრემიერის ნეთანიახუს ვიზიტის წინ, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის გეგმის შესათანხმებლად ერთმანეთს შეხვდნენ ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი და იორდანიის მეფე ჰუსეინი.

მოსკოვი. გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (ГРУ) უფროსად დანიშნა გენერალი ვლადიმერ კორაბელნიკოვი, რომელიც აქამდე უფროსის პირველი მოადგილე და ე. წ. ჩეჩნეთის მიმართულების კურატორი იყო.

ამავე დღეს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით გამოცხადდა უშიშროების ფედერალური სამსახურის რეფორმა — დეპარტამენტებად დაყოფა.

* * *

აქ ზეიმით გაიხსნა სლავური დამწერლობის დღეები, რომლებიც რუსული ანბანის შემქმნელების, ქრისტიანობის გამავრცელებლებისა და განმანათლებლების კირილესა და მეთოდეს ხსოვნას ეძღვნება.



# გამარჯვებით

### ხვალ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართული სამხედრო აღლუმი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენი ეროვნული არმია ძალას იკრებს

ეროვნული გვარდია პირველი ქართული შენაერთი იყო, რომელიც დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარმა ქვეყანამ შექმნა. მან თავისი ისტორია სისხლით დაწერა. ბევრი გვარდიელი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. დღეს თბილისში ოთხი ქუჩის ორ საშუალო სკოლასა და ორ სამხედრო ნაწილს მინიჭებული აქვს დაღუპული მეომრების სახელი.

აღლუმზე ეროვნულ გვარდიას წინ გაუძღვება პირველი მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური, ვახტანგ გორგასლის მესამე და მეორე ხარისხის ორდენოსანი გენერალ-მაიორი ნოდარ მუსერიძე, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყველა ბრძოლა ღირსეულად გამოიარა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **არტილერია** ყველაზე უკეთ არის დაკომპლექტებული და აღჭურვილი. 120 მმ-იანი ნაღმტყორცნები, 85 და 100 მმ-იანი ქვემეხები, ჰაუბიცები, „გიაცინტო", თვითმავალი დანადგარი „პიონი", არტილერიის უძლიერესი იარაღი — ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადი" (რომლის გამანადგურებელი ცეცხლის სიშორე 18 კილომეტრამდეა) — ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საიმედო „კედელია".

სამეთაურო მანქანით კოლონას პირველი საარტილერიო ბრიგადის მეთაური, გორგასლის ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი დევი ჭანკოტაძე წარუძღვება.

**გაერთიანებული სამხედრო აკადემია** 1993 წელს შეიქმნა, რათა ქართული არმიისათვის ოფიცრები მოემზადებინა. მან ყოფილი საბჭოთა საარტილერიო სასწავლებლის თითქმის მთლიანად განადგურებულ ბაზაზე შეძლო სასწავლო პროცესის დაწყება და წლეულს 1-2 ივლისს ლეიტენანტთა პირველ ნაკადს გამოუშვებს. ამ ისტორიულ დღეს საქართველოს სამხედრო ძალების რიგებს 76 ახალგაზრდა ოფიცერი შეემატება.

სამხედრო აკადემიაში არის საერთოსაჯარისო, სატანკო, საარტილერიო, სასაზღვრო და შინაგანი ჯარის ფაკულტეტები, აქ მომზადებულ ოფიცრებს ელის ქართული არმია.

აკადემია (რექტორი გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე) ამჟამად ქართული სამხედრო მეცნიერების მთავარი კერაა. მსმენელებს თავის უმდიდრეს გამოცდილებას უზიარებენ გენერალ-ლეიტენანტი მუხტარ ელბაქიძე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ვაშაკიძე და სხვები.

**შინაგანმა ჯარმა,** რომელსაც 12 სექტემბერს ექვსი წელიწადი უსრულდება, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში.

არასრული მონაცემებით სისხლისმღვრელ ბრძოლებში შინაგანი ჯარების 134 ოფიცერი და ჯარისკაცი გმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

# მსოფლიო ბანკი კმაყოფილია თანამშრომლობით

– მსოფლიო ბანკი საქართველოსთან ურთიერთობის 4 წლის განმავლობაში მოწმე გახდა დაუჯერებელი პროგრესისა და აღფრთოვანებულია თქვენი წარმატებებით, – განაცხადა მსოფლიო ბანკის მეოთხე ევროპული დეპარტამენტის დირექტორმა ბაზილ კოვალსკიმ საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან 23 მაისს გამართულ შეხვედრაზე.

ქება – ქებად, მაგრამ მსოფლიო ბანკი ამასთან ერთად, თავისი კეთილგანწყობის დასტურად, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით, კვლავ აქტიურად მუშაობს და საინტერესო პროექტებს ამუშავებს...

ამჯერად ბაზილ კოვალსკიმ საქართველოს პრეზიდენტს გააცნო მსოფლიო ბანკის ახალი პროგრამის ძირითადი მიმართულებები. ეს არის საქართველოს დახმარების სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ბანკის დახმარების სისტემას უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე.

სტრატეგიის თანახმად, გათვალისწინებულია სამი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის კრედიტების გამოყოფა, რომელთა საერთო რაოდენობა 288 მილიონი ამერიკული დოლარია.

მსოფლიო ბანკს მიაჩნია, რომ მიუხედავად დიდი წარმატებებისა, საქართველოში ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი მაინც საჭიროებს გარედან ინექციებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ქვეყნის ბიუჯეტსა და ფისკალურ პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით, ბაზილ კოვალსკიმ ხაზგასმით აღნიშნა გადასახადების გაზრდის შედეგად ბიუჯეტის შემოსავლებში აშკარა მატება.

სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა კერძო სექტორის ხელშეწყობა, ვინაიდან მსოფლიო ბანკი აუცილებლად მიიჩნევს მისი ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას. ამ თვალსაზრისით, მას მნიშვნელოვნად მიაჩნია კერძო ინვესტიციების მოზიდვა როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ამავე დროს, მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, რაც მეტად საშური საქმეა ინვესტორთა დაინტერესების მიზნით.

საქართველოსთვის დახმარების სტრატეგიით გათვალისწინებულია, აგრეთვე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროს განვითარებაში მსოფლიო ბანკის მონაწილეობა. განზრახულია ჯანდაცვის, განათლების სფეროსა და ქვეყნისათვის სხვა მტკივნეული დარგებისათვის აქტიური ხელშეწყობა.

ბაზილ კოვალსკიმ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ საქართველოში იგრძნობა დაინტერესება სამართლებრივი ბაზის განვითარებით და განაცხადა, რომ ეს უცხოელ პარტნიორებთან და, განსაკუთრებით, ინვესტორებთან ეფექტიანი თანამშრომლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა, აგრეთვე, პრივატიზაციის შემდგომი ეტაპის განხორციელების ტემპსა და ქვეყნის საბანკო სისტემის, განსაკუთრებით მისი კერძო სექტორის, განვითარებას. აქვე მან განაცხადა, რომ მსოფლიო ბანკი ჯეროვან შეფასებას აძლევს ამ სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში აშკარად დამკვიდრებულ მუდმივ და მყარ პროგრესს და აპირებს აქტიურად დაუჭიროს მხარი მის შემდგომ განვითარებას.

– დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განვითარების იმდენად მაღალი ტემპია ჩამოყალიბებული, რომ მისი შენარჩუნება ამგვარი ინექციების გარეშე საკმაოდ გაგვიჭირდება, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა მსოფლიო ბანკის ახალ პროგრამას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

# ეუთო მზად არის გააქტიუროს თავისი მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში

22 მაისს, ვენაში, გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო **დანიის** (როგორც მოქმედი თავმჯდომარის) **საგარეო საქმეთა სამინისტროს დესპანის იურგენ ანდერსენის** ანგარიში მისი საქართველოში ვიზიტის შესახებ.

იურგენ ანდერსენმა წარმოადგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც ყურადღება მიაპყრო ეუთოს საქმიანობის გააქტიურებას საქართველოში კონფლიქტის მოგვარების მიზნით. ითქვა, რომ ცხინვალის რეგიონში აშკარაა პროგრესი, რომელიც გამოიხატება ზოგიერთ რაიონში ლტოლვილების დაბრუნებასა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის პროცესით.

რაც შეეხება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს, იგი ნელ-ნელა, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის წინ, რაც მისი საბოლოო პოლიტიკური მოგვარების იმედს იძლევა. ასევე, აღინიშნა, რომ ეუთოს მისიის მანდატი ითვალისწინებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ეუთოს ეგიდითა და გაეროს მონაწილეობით.

სიტუაცია უფრო შემაშფოთებელია აფხაზეთში, განსაკუთრებით, – ლტოლვილების დაბრუნების თვალსაზრისით. ე.წ. აფხაზეთის ხელისუფლება არაკონსტრუქციულად უდგება საკითხს და აცხადებს, რომ ლტოლვილების დაბრუნება უნდა მოხდეს ინდივიდუალური ნიშნების მიხედვით. იგი არ იჩენს მოქნილობას ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტაში და ეყრდნობა 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ დეკლარაციას, რომელიც, მისი აზრით, აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს და საქართველოსთან თანასწორ ურთიერთობას. მაგრამ დოკუმენტის ტექსტის დაწვრილებით წაკითხვა იძლევა იმის საფუძველს, რომ აფხაზი ხელისუფალნი დოკუმენტის არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ.

დანიას, როგორც ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, მიაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით უნდა გადაიდგას შემდგომი გადაუდებელი ნაბიჯები:

– დამყარდეს კონტაქტები ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან და გაეროში (ნიუ-იორკი) „საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფთან".

– მოქმედმა თავმჯდომარემ „საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის" თანხმობის შესაბამისად უნდა გაუგზავნოს მიმართვა გაეროს გენერალურ მდივანს, რომელშიც გამოხატული იქნება ეუთოს შეშფოთება კონფლიქტთან დაკავშირებით და ხაზი გაესმება ეუთოს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს მოლაპარაკებებს გაეროს ეგიდით. იმავდროულად, ეუთო მიესალმება გაეროს გენერალური მდივნის გადაწყვეტილებას, დანიშნოს პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტში და გააძლიეროს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის პოლიტიკური კომპონენტი.

როგორც პირველი ნაბიჯი, ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს გადაწყვეტილი აქვს კონსულტაციები გამართოს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

**სხდომაზე ი. ანდერსენის ანგარიშს გამოეხმაურნენ ამერიკისა და საქართველოს დელეგაციები, აგრეთვე ეუთოს გენერალური მდივანი ჯან-კარლო არაგონა.**

**ამერიკის დელეგაციის მეთაურმა** მაღალი შეფასება მისცა ი. ანდერსენის ვიზიტს საქართველოში და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები მიესალმება ეუთოს გააქტიურებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. ამის საფუძველს იძლევა ლისაბონის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეუთო გაეროსთან და რუსეთის ფედერაციასთან ერთად ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

**ეუთოს გენერალურმა მდივანმა** მუდმივ საბჭოს მოახსენა, რომ ბოლო დღეებში მას შეხვედრა ჰქონდა გაეროს გენერალურ მდივანთან კოფი ანანთან, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს უახლოეს დღეებში დანიშნოს თავისი პირადი წარმომადგენელი საქართველოში და გაააქტიუროს გაეროს მოღვაწეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში.

# საქართველოს დელეგაციის განცხადება ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე

საქართველო მიესალმება ეუთოს როლის გაძლიერებას რეგიონში. ჩვენ მივესალმებით ფაქტების დამდგენ ნებისმიერ მისიას, რომელიც თანადგომას და დახმარებას გაუწევს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ეუთოს მზარდი როლი საქართველოში აღიქმება, როგორც იმედის მომცემი ტენდენცია, რომელიც დაგვეხმარება კონფლიქტების საბოლოო მშვიდობიანი გადაწყვეტის მიღწევაში არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთელ კავკასიაში.

საქართველო მიესალმება და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აცხადებს, რომ ეუთოს აქტიურმა მონაწილეობამ ქართულ-ოსურ დიალოგში საგრძნობი შედეგები მოიტანა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აფხაზეთზე. გაეროს მოღვაწეობა ამ კონფლიქტში საჭიროებს მკვეთრ გაუმჯობესებას. ალბათ, აუცილებელია, რომ გაეროს სტიმულირება საქართველოში მოხდეს ეუთოს მისიის აქტიური მუშაობით. მისი მანდატი უკვე მოიცავს ადამიანური განზომილების სფეროს, რასაც ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ, მაგრამ ველით მომავალ მოქმედებებსაც. საქართველო მიესალმება მისიის მეშვეობით ეუთოს უშუალო მონაწილეობას კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის პოლიტიკურ დიალოგში. ეს იქნებოდა ეუთოს მნიშვნელოვანი წვლილი კონფლიქტის გადაწყვეტაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა გაეროს გააქტიურებას აფხაზეთში.

ასევე სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის დამყარებაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესაძლებლობები შეზღუდული და არადამაკმაყოფილებელია. თანამეგობრობის სამიტების გადაწყვეტილებები ან არ სრულდება, ან სრულდება მხოლოდ ნაწილობრივ.

ჩვენ ვეთანხმებით ბატონ ანდერსენს, რომ აფხაზთა მხრივ მართლაც არ ჩანს მოქნილობისა და თანამშრომლობის სურვილი. საქართველო მიესალმება საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების იდეას და სთხოვს ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, რათა მან გაეროს შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში, ხელი შეუწყოს კავშირების დამყარებას მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელსა და „საქართველოს მეგობართა ჯგუფს" შორის. მივესალმებით იმ განზრახვას, რომ ამ ჯგუფთან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი თავმჯდომარე წერილობით მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს.

ვიმედოვნებთ, რომ მთლიანად ეუთოს, და, მათ შორის, მისი საპარლამენტო ასამბლეისა და საქართველოში ეუთოს მისიის ძალისხმევა გამოიღებს დადებით ნაყოფს ჩვენი საბოლოო მიზნის მისაღწევად.

საქინფორმი.

ალლუმი

# ევლოთ!

რულად დაიღუპა, ოცამდე უგზოუკვლოდ დაიკარგა.

დღეს შინაგანი ჯარები, რომლის სარდალია პოლკოვნიკი გიორგი შერვაშიძე, უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანების შესრულებას, იცავს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად – საზოგადოებრივ წესრიგს ქვეყანაში.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მოედანზე გამოვა თანამედროვე ტექნიკა. გავიხსენოთ ხუთი წლის წინ რით დაიწყო ქართული არმიის შექმნა და ნათელი გახდება, თუ რამდენად დიდია მიღწევები ამ მხრივ. სწორედ ასეთი ტექნიკა, ჯარისკაცებისა და მათი მეთაურების გამოცდილებასთან და დისციპლინასთან შეჯერებული, იძლევა სამომავლო გამარჯვებების იმედს.

დღეს **ჯავშანტექნიკას** წარმოადგენს ქვეითთა საბრძოლო მანქანები ბმპ-1, ჯავშანტრანსპორტიორები – სპო-70 და ტანკები ა-72.

დღეს **საჰაერო თავდაცვის ჯარები** აკონტროლებენ თბილისისა და რუსთავის საჰაერო სივრცეს. სულ მალე კი გადაფარავენ მთელი საქართველოს ცას. ქართული ავიაცია ძალას იკრებს. მფრინავთა საწვრთნელად გამოიყენება სუ-25, იაკ-52 ტიპის თვითმფრინავები.

სამხედრო საჰაერო ძალებს ავსებენ მი-2, მი-8, მი-14 და მი-34 ვერტმფრენები.

**მე-11 ბრიგადა** მრავალ ომგამოვლილი და სახელოვანი მხედრული ისტორიის მქონე შენაერთია. მეორე წელიწადია, რაც მას გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია ხელმძღვანელობს და ამ პერიოდში მისი ბრძოლისუნარიანობა კიდევ უფრო ამაღლდა.

ეს ნათლად დაგვანახა ალგეთის პოლიგონზე ბრიგადის ერთ-ერთი ასეულის ბაზაზე ახლახან მოწყობილმა წვრთნამ, ახალგაზრდა მებრძოლებმა მაღალი ოსტატობა უჩვენეს.

ყველას კარგად ახსოვს „თეთრი არწივის", „შავნაბადას", „ორბისა" და „ავაზას" ბატალიონები. დღეს ისინი სწორედ მე-11 ბრიგადაში არიან გაერთიანებულნი და ქართული სამხედრო ძალების საუკეთესო ნაწილებს წარმოადგენენ.

ერთმანეთის მხარდამხარ **საქართველოს საზღვრებს იცავენ** უფროსი და ახალი თაობის წარმომადგენლები – გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი, პოლკოვნიკები გრიგოლ ლაზიაშვილი, შაქრო ხუნდაძე, ვიცე-პოლკოვნიკები თამაზ კილაძე, მამუკა კვაჭაძე, მაიორი დავით ბედოშვილი, უმცროსი ლეიტენანტი დავით აბაზაძე და სხვები.

უშიშროების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასაზღვრო ფაკულტეტებზე მომზადებას გადიან მომავალი მესაზღვრე ოფიცრები, რომლებიც მნიშვნელოვანი ძალა იქნება საქართველოს სასაზღვრო ძალებში რეგიონების ვიტირების და ქართული საზღვრის დაცვის სისტემის შექმნაში.

თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მრავალი გამოცდილი, პროფესიონალი მსახურობს. მათ რიგებში არიან პოლკოვნიკი მიხეილ ქებაძე, ვიცე-პოლკოვნიკი გივი ბერია, ლეიტენანტები კახაბერ ხაზიური და ბესიკ ხუბულავა და სხვები.

**საინჟინრო მესანგრეთა სასწავლო ბატალიონს** მაიორი დავით ასაბაშვილი ხელმძღვანელობს. ბატალიონი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში, სადაც მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდა საბრძოლო დავალებებს; განაღმვითი სამუშაოების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის არაერთი ქართველი მესანგრე დაჯილდოვდა სახელმწიფო ჯილდოებით.

**დაზვერვა** მეტად სპეციფიური, რთული და სარისკო საქმეა, რომელიც არა მხოლოდ კარგ ფიზიკურ და საბრძოლო მონაცემებს, არამედ მტკიცე ხასიათსა და გადაწყვეტილების მიღების სწრაფ უნარს მოითხოვს.

ამ თვისებებს ავითარებენ დაზვერვის ბატალიონში პოლკოვნიკი გიორგი კუხიანიძე და მისი ოფიცრები.

ეს მებრძოლები პირველები იყვნენ, ვინც 29 აგვისტოს ტერორისტული აქტიდან ორი საათის შემდეგ უკვე ფხიზლად იცავდნენ ტელევიზიას, სატელევიზიო ანძას, აეროპორტსა და სხვა საკვანძო პუნქტებს.

ქვეყანას, რომლის საზღვაო საზღვარი 280 კილომეტრია, არ შეიძლება არ ჰყავდეს **სამხედრო-საზღვაო ძალები.** მათი შექმნა უზარმაზარ ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული, საბრძოლო ხომალდების მომავალ მეთაურებსა და ოფიცრებს დღეს ბათუმის სამხედრო-საზღვაო აკადემია ზრდის. აქ დღეს პროფესიას მეორე რანგის კაპიტნის, ბადრი დოლონაძის ხელმძღვანელობით ასამდე კურსანტი ეუფლება.

ქართული სამხედრო ფლოტის ჩანასახს წარმოადგენს პირველი შერეული სამხედრო-საზღვაო ბრიგადა (შტაბის უფროსი კაპიტან-ლეიტენანტი სოსო დევდარიანი). ქართველი მეზღვაურები მონაწილეობდნენ აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. ამჟამად კი ბრიგადა ქვეყნის ტერიტორიული წყლების დასაცავად ემზადება და ყოველდღიურ წვრთნაში სრულყოფს საბრძოლო ოსტატობას.

შექმნის დღიდანვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ თავდაცვის სამინისტროს მე-2, მე-3, 21-ე, 22-ე, 25-ე მოტომსროლელი ბრიგადები.

ისინი საბრძოლო მომზადებაში მაღალი ორგანიზებულობით გამოირჩევიან. ასე იყო ბრძოლის ველზეც. ბევრი გმირულად დაეცა, ბევრი მამაცობისა და შეუპოვრობისათვის ჯილდოებით მკერდდამშვენებული დღეს თავის საბრძოლო გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდობას.

ალლუმს განსაკუთრებულ შნოსა და ლაზათს შემატებს ეროვნული გვარდიის, სასაზღვრო ჯარების, შინაგანი ჯარებისა და გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასულე ორკესტრი.

კადეტთა კორპუსის მოსწავლეებისაგან შემდგარი მედოლეთა ასეული ალლუმის მონაწილეთა საზეიმო განწყობას ერთიათად აამაღლებს.

ხვალ რუსთაველის პროსპექტზე საქართველოს ახალგაზრდა არმია ჩაივლის. გამარჯვებით ევლოს!

**შოთა მაჭარაშვილი,**
**კობა ლიკლიკაძე,**
**ლეილა კოშკაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№119, კვირა, 25 მაისი, 1997 წელი.

# ალმაშენებელი ტაძრის მოდელით ხელში...

1122 წელს დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკები თბილისიდან განდევნა და საქართველოს დედაქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა.

1997 წლის 26 მაისს დავით აღმაშენებელი თბილისში მობრძანდება...

ბრინჯაოში ჩამოსხმული ყველა დროის უდიდესი ქართველი მეფე მრავალტანჯულ თბილისის მიწაზე სამუდამოდ დამკვიდრდება.

დავით აღმაშენებელი ქართველთა რწმენის სიმბოლოა, რადგანაც ის მარტო მეფე არ ყოფილა.

დაკვირვებიხართ გელათის ფრესკას? — დავით აღმაშენებელი იქ ტაძრის მოდელით ხელში არის გამოსახული.

დავით აღმაშენებელმა ხმლითა და ფარით დაიცვა მშობლიური მიწა-წყალი და როდესაც მტერი არ უტევდა, ქვეყანას აშენებდა, ამბიციური ფეოდალებიც (ბალვაშები და ძმანი მათნი) დიდი სინანულით მოიშორა და ერთგული გუთნისდედები და კირითხუროնი შემოიკრიბა.

საქართველოსთვის, მისი ჭირნახული ისტორიისთვის უპირველესი სიმდიდრე მუდამ იყო მშენებლის პიროვნება და არა მეომრისა. შუა საუკუნეების საქართველოს უძლიერესი მეფე შთამომავლობას ფრესკაზე რჩება არა როგორც სწორუპოვარი სამხედრო სტრატეგი და დაუმარცხებელი მეომარი, არამედ როგორც მშენებელი და ოსტატი, როგორც რიგითი ადამიანი და მამულიშვილი.

ამიტომაც უწოდა ხალხმა აღმაშენებელი.

სიკვდილის წინ დავითი ცოდვების მონანიებასაც კი ცდილობს და ისტორიაში მეფეთათვის ჯერ არნახულ ანდერძს ტოვებს: „ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან!“

არადა, თუ ის ცოდვილი იყო, ანა კალანდაძის ბრწყინვალე თქმისა არ იყოს, „მაშინ მეფეო, რაღა ქნან ცოდვილთ?“

დავითი სალაშქროდ საყვარელი წიგნებით დადიოდა. ხშირად ლოცვად იდგა და ნებისმიერი ალმსარებლობის კაცს პატივს მიაგებდა.

დავით აღმაშენებელი წმიდა, კეთილმსახური, ქველმოქმედებით სავსე ყოფილა. საერო და სალვთო კანონს არასოდეს არღვევდა. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე წერს, მის გარშემო იკრიბებოდნენო „სომეხნი და სომეხთა ნათესავნი და ყოველგვარ ნუგეშს და შეებას ილებდნენ, დავითს არავითარი სიძულვილი არ ჰქონია სომხურის წირვა-ლოცვისა, იგი ხშირად იდრეკდა თავს სომხურ სალოცავებში და ლოცვა-კურთხევასაც იღებდა“.

რაც შეეხება მუსულმანებს, ჯერ კიდევ მაშინ (!) დავითი თურმე „უფრო მეტ პატივსაც სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

დავითზე დიდი „ინტერნაციონალისტი“ მეფე ჯერ არ დაბადებულა.

ის, რაც დიდგორის ომში დიდმა სტრატეგმა მოიმოქმედა და ბრძოლის წინ ქრისტეს სახელით მეომარ ლაშქარს უთხრა, მანამდე ამრადაც არავის მოსვლია. 55-60-ათასიანმა ლაშქარმა მოსრა და მოაოხრა ნახევარმილიონიანი მტრის ურდო. საქართველო და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყნები რწმენითა და სიამაყით აღივსნენ. ამიტომაც ემურებოდნენ დავითის დროშის ქვეშ გაერთიანებას.

დავითზე დიდი რეფორმატორი ხელმწიფე საქართველოს არ ჰყოლია.

დავით აღმაშენებელი დიდსულოვანი მეფე-პოეტიც იყო და გენიალური „გალობანი სინანულისანი“ დაგვიტოვა.

მართლაც სამაგალითო წინაპარი 26 მაისს თბილისში მობრძანდება. 26 იანვარს კი წმინდანად შერაცხული მეფის ხსენების დღეა, 26 იანვარი ჩვენი დედა-უნივერსიტეტის კურთხევის დღეც არის. რაღაც სიმბოლური, ამაღლებული უთუოდ არის ამ რიცხვებს შორის.

შეგვეწიოს დიდი დავითის ნათელი სული! არავითარი „რა დაგვიტოვე და რას გახვედრებთ“, არავითარი მოთქმა და გოდება, საქართველოს, როგორც სამყაროს მარგალიტს, დღეს უფრო ჭკვიანი მტრები ჰყავნან, თუმცაღა მაინც ცოცხლობს, აშენებს, წინ მიიწევს. ოღონდ ეგ არის, დავითისეული სიმტკიცე გვაკლია. დაე, ამ სიმტკიცისა და რწმენის ბალავრად ქცეულიყოს თბილისში მობრძანებული მეფეთ-მეფე!

**სპარტაკ ძოგულია.**



# ...და შემობრძანდა თბილისში დავით!

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში რესპუბლიკის მოედანზე დადებულმა ერთმა უბრალო ქვამ ბევრ ჩვენგანს დაუბრუნა ნანატრი თავისუფლების რწმენა. მერე დრო აირია და ის ქვა მწვანე მესერის ტყვედ შეიქმნა...

და აი, რამდენიმე დღეა, ცნობისმოყვარე თბილისელები გაფაციცებით ადევნებენ თვალს, თანდათან როგორ ამოიზარდა კვარცხლბეკი და... 875 წლის შემდეგ დიდმა დავით აღმაშენებელმა კვლავ შემოაგელვა ცხენი თბილისში. ამიერიდან ის აქ იდგება, როგორც ქართველთა ერთიანობის სიმბოლო!

**— რატომ მაინცდამაინც აქ, რესპუბლიკის მოედანზე?** — ვკითხე რესპუბლიკის მოედნისა და დავით აღმაშენებლის ძეგლის არქიტექტორს **ოთარ კალანდარიშვილს, — თბილისში ხომ წარმტაცი ადგილები სხვაგანაც არის...**

— არის, მაგრამ ასეთი — არსად! აქეთ მამადავითის მთაა, იქით — კავკასიონი, წინ — დედაქალაქის მთავარი მაგისტრალი. არის კიდევ ერთი საიდუმლოება: ვერსად, ქალაქის ვერც ერთ მოედანზე ისე თავისუფლად ვერ მიეახლები ძეგლს, როგორც რესპუბლიკის მოედანზე... დავით მეფე ხალხის შვილი იყო და ხალხის შვილად დარჩა.

**— მოედანს, სრულყოფილებამდე, ალბათ, ბევრი რამ აკლია.**

— ყოველ დიდ ქალაქს აქვს უმთავრესი მოედანი. რესპუბლიკის მოედანიც, როგორც მეთაურს შეშვენის, თანდათან გაშლის ფრთებს, გაამთლიანებს ძველსაც და ახალსაც — ყველაზე საუკეთესოს, რითაც თბილისი ამაყობს...

**— მაგრამ ქალაქის შინაარსში ჯერჯერობით ვერა და ვერ „ჩაეწერა“ თაღები, რომლებიც მავანმა და მავანმა ათასნაირი ეპითეტით შეამკო...**

— გეთანხმებით. მშენებლებს ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩათ გასაკეთებელი. თაღნარი მთლიანად თეთრ მარმარილოში უნდა ჩაჯდეს. დავიწყეთ კიდეც ერთ-ერთი სვეტის მოპირკეთება, მაგრამ ომმა შეგვაჩერა. თითოეული თაღის ქვეშ დაიკიდება ზარი, დაიდგმება ბრინჯაოს გრანდიოზული ქანდაკება და სიცოცხლის მარადიულობაზე იმღერებს დიდი, ლამაზი შადრევანი.

მაგრამ მოედნის კომპოზიცია ამით როდი დასრულდება. აი, დახედეთ (და ბატონი ოთარი გეგმას მიჩვენებს), ახვლედიანის ქუჩის დასაწყისში აღიმართება თანამედროვეობის ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა, რომელიც მთელს მოედანს შეკრავს. ახლა წარმოიდგინეთ: დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლი, ვრცელი მოედანი, სასტუმრო „ივერია“, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები თაღები, რომელთაც დასავლეთისაკენ გადახრილი მზის შარავანდედი გააცისკროვნებს... ეს იქნება რუსთაველის პროსპექტის გვირგვინი... აქ მოეწყობა დიდი სახალხო დღესასწაულები, კარნავალები, ახალგაზრდობის შეხვედრები...

**— წლეულს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას აქ არ აღვნიშნავთ. რატომ?**

— ხელისუფლებამ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და იმიტომ: მძიმე ტექნიკა აზიანებს მოედნის საფარს და არა მარტო მას...

**— ძეგლზე რას გვეტყვით? მე ვესაუბრე თბილისელებს. შეფასებები არაერთგვაროვანია...**

— ჩემი აზრით, დავით აღმაშენებელი მერაბ ბერძენიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. „ფეხი დამადგით გულზე ყოველმან“... მეფე თითქოს მიგვანიშნებს, რომ მშობელი ხალხის ფესვებიდან არის ამოზრდილი. ხალხისა და სათაყვანო მეფის ყოველდღიური შეხვედრა კი წარსულისა და თანამედროვეობის უწყვეტი კავშირის სიმბოლო იქნება...

ბატონმა ოთარ კალანდარიშვილმა და მისმა კოლეგამ, არქიტექტორმა ნიკო ქუმსიაშვილმა გრანდიოზულ ძეგლს შესაბამისი კვარცხლბეკიც შეურჩიეს. რატომ ექვსი ვარიანტი მაინც არ დაამუშავეს. ყაზბეგის მწვანე დიაბაზი საოცრად შეერწყა ბრინჯაოს ქანდაკებას!

და როგორც მემატიანე იტყოდა, „იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოფილთა მეფობათა მან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა“...

...სასტუმრო „ივერიის“ აივნებიდან მოლოდინად ქცეული ლტოლვილები გადმოგვცქერიან. კიდევ გაჩნდა ერთი იმედი. მოწმე ვართ საოცრებისა: ჩვენს მიწაზე, ჩვენს დედაქალაქში, ჩვენის ნებით და სურვილით, სხვის უკითხავად ძეგლს ვუდგამთ ქართველთა დიდ მეფეს და არა ოდესღაც თავსმოხვეული რევოლუციის რომელიმე ბელადს!

და შემობრძანდა თბილისში აღმაშენებელი სრულიად საქართველოსა — მეფე დავით!

და გვამოძღვრავს:

მეფის შემართული მარჯვენა — „მამულის ერთიანობას უერთგულეთ!“

ცხენის ზეაწეული ტორი — გაფრთხილება მტრისათვის — „არ გაბედო!“

**ელგუჯა ლებანიძე.**

## — გვწერენ —

# რწმენა, რომელსაც სამშობლო ჰქვია

ჩვენ საქართველოს მოქალაქენი ვართ და ყოველთვის ვიზიარებდით მის ჭირსა და ლხინს. ჩვენთვის, ახალქალაქის რაიონის, მთელი ჯავახეთის მცხოვრებთათვის, — დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღორძინება გახდა იმის მომასწავებელი, რომ საქართველო, მისი ხელმძღვანელები ისტორიული, ტრადიციული ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პოლიტიკის ერთგულების სულისკვეთებით იმოქმედებენ და ააშენებენ ისეთ სახელმწიფოს, სადაც ერთიან ოჯახად იცხოვრებენ საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრებული ყველა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც ეს ქვეყანა თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ.

ჩვენი ქვეყანა წარმატებით ძლევს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე არსებულ პოლიტიკურ სიძნელეებს და მას შემდეგ, რაც სუვერენული სახელმწიფოს საჭე ჩააბარა ნაცად, გამობრძმედილ ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს, განუხრელად მიიწევს წინ დემოკრატიული და აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობის გზით. დღეს უკვე მტკიცე საფუძველია შექმნილი ეკონომიკის სფეროში წარმატებათა მიღწევისათვის, და ახალქალაქელები, რომლებიც არასდროს არ გასდგომიან გვერდზე აღმშენებლობითს მუშაობას, კვლავაც თავდადებით გაირჯებიან და თავიანთ წვლილს შემატებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ვულოცავთ საქართველოს ხალხს დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო დღესასწაულს, ვუსურვებთ ყველას დღეგრძელობას, აღმშენებლობითს მუშაობას და ბედნიერი მომავლის ურყევ რწმენას.

**სერგი დარბინიანი,**
ახალქალაქის რაიონის გამგებელი.

# ყველა მოქალაქის ზეიმი

სულ რამდენიმე თვის წინათ, როგორც საქართველოს დელეგაციის წევრი, ვიყავი ბაქოში და ჩემი თვალით ვნახე, რა დიდი სიყვარული და პატივი მიაგეს ბაქოელებმა, მთელმა აზერბაიჯანმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ჰეიდარ ალიევის და ედუარდ შევარდნაძის მეგობრობა სამაგალითოა. საუკუნეებში იკარგება ჩვენი ხალხების მეგობრობის ფესვები. ამ ტრადიციული მეგობრობის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც ჩვენ, აზერბაიჯანული ეროვნების ადამიანები საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად ვგრძნობთ თავს. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, რეგიონის ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

ჩვენ ვცდილობთ, ახალგაზრდებს შევასწავლოთ და შევაყვაროთ საქართველოს ისტორია და ქართული ენა და ეს კეთდება იმ ფონზე, როდესაც გვაქვს აზერბაიჯანული სკოლები.

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს ყველა მოქალაქის დიდი ზეიმია.

**მაგარამ ჰასანოვი,**
ქვემო ქართლის ადმინისტრაციის წევრი.

**გურამ კლდიაშვილი**

## მეფეთ-მეფეს

ამბობენ:
ჰქონდა სიმტკიცე რვალის,
გაბზარულ ზეცას ედგაო ბეჭით,
და გაჰყურებდა
გამჭოლი თვალით,
ვინც საქართველოს უმზერდა ეჭვით.

არტახებს გლეჯდა
ჩასუნთქვა მისი,
იცოდა მისთა და სხვათა ფასიც,
უდუღდა მეფე-პოეტის სისხლი
და ცნობილ იყო გონით და აზრით.

ყოფილა თურმე
მოწყალეც, მკაცრიც,
უტყუარ ჰქონდა ალღო და გემო.
ამაოდ დავშვრი —
ღვთისტოლა კაცი
ვერ დავატიე პატარა ლექსში...



ჩინეთში სამხედრო მომზადებას საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონებიც გადიან.

## პოლიტიკა: ისრაელის სპეცსამსახური და „ჯიჰადი" - ერთ სანოლში

ბასულ კვირას პალესტინის ავტონომიის ხელისუფლებმა გაათავისუფლეს რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციის „ჯიჰადის" 15-მდე წევრი, რომლებიც თელ-ავივისა და ღაზის სექტორის აპრილის ტერაქტების შემდეგ დააპატიმრეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს „ჯიჰადის" ოფიციალურ წარმომადგენელს. პალესტინის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა არ დაადასტურა „ჯიჰადის" წევრთა გათავისუფლების ფაქტი, ამასთან განაცხადა, რომ გაათავისუფლებენ ყველას, ვისაც არ დაუდასტურდება წაყენებული ბრალდება. როგორც ცნობილია, ისრაელის ხელისუფალნი ბრალად სდებენ პალესტინელთა ლიდერს იასირ არაფატს არასაკმარის ძალისხმევას ტერორიზმთან ბრძოლაში. მაგრამ მაისში პალესტინის ხელისუფლებმა „ჯიჰადის" დაჯგუფების წევრებს ჩამოართვეს ჩვენება, რომ იგი ტერორისტული აქტების მომზადებისას ისრაელის „შინბეთის" სპეცსამსახურთან თანამშრომლობდა.



ავსტრალიელ აბორიგენთა უფლებების დამცველი მიკ დოდსონი მთავრობისაგან მოითხოვს გამოაქვეყნონ მისი გამოკვლევა, რომელშიც ავსტრალიის ხელისუფალთ ბრალს სდებს „მწვანე" კონტინენტის მკვიდრ მცხოვრებთა გენოციდში.

## ყოველთვიურად 2 ათასი კაცი ფეთქდება ნაღმებზე

21 მაისს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არმია შეუდგა მის განკარგულებაში არსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განადგურებას, იუწყება ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი". ხელისუფალთა ვარაუდით, ალკატპლანის პოლიგონზე, ქვეყნის ჩრდილოეთში, გაანადგურებენ დაახლოებით 250 ათას ნაღმს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში სამხრეთ აფრიკაში აიკრძალა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შემუშავება და გამოცდა. „ტაიმსის" მონაცემებით, მსოფლიოს ნაღმების შემმუშავებელ 50 უდიდეს ფირმათაგან 46 იცავს მათი წარმოების ერთგვარ მორატორიუმს. მაგრამ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების სრული აკრძალვა იწვევს იმ ქვეყნების უკმაყოფილებას, რომლებსაც პროფესიული არმია ჰყავთ. არადა, ყოველთვიურად ნაღმების აფეთქებას მსოფლიოში ეწირება დაახლოებით 2 ათასი კაცი, ძირითადად, სამოქალაქო მოსახლეობა.



## მეხსიერების გადანერგვა?

ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის დროს დონორისაგან რეციპიენტს გადასდის არა მარტო სხეულის კონკრეტული ნაწილები, არამედ ყოფილი მფლობელის მეხსიერებაც, – აპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთ შესაძლებლობას ამიერიდან არ გამორიცხავენ წამყვანი ამერიკელი მეცნიერები. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ მედიკოსებს ასეთი დასკვნა გამოატანინა 57 წლის სილვია კლეირისათვის გაკეთებული ოპერაციის შედეგმა, რომელმაც მასაჩუსეტსის შტატის ერთ-ერთ კლინიკაში გადაუნერგეს გული და ცალი ფილტვი. ოპერაციის შემდეგ, ამტკიცებს სააგენტო, სილვია კლეირმა, რომელიც აქამდე საერთოდ არ იცნობდა კაცს, რომლის ორგანოებიც ერგო, შეიძინა მისი ჩვეულებები, დაიწყო მასავით აზროვნება, თვითონ მოძებნა დაღუპული დონორის მეგობრები და უამბო მათი წინანდელი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი.

## სამართლისა და ზნეობის დამცველთა შეხვედრა

სანამ ბელორუსიის პრეზიდენტი რუსეთთან შეერთების საკითხებს აგვარებს და შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხებისათვის ვერ იცლის, მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ მინსკისა და სლუცკის მიტროპოლიტი, სრულიად ბელორუსიის ეგზარქოსი ფილარეთი და რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ოლეგ ბოჟელკო. მათ დიდხანს ისაუბრეს იმ პრობლემაზე, თუ როგორ გაუძლევნენ მოსახლეობის აღზრდას კანონის მორჩილებისა და ზნეობის ძირითადი პრინციპების პატივისცემის სულისკვეთებით. მიტროპოლიტმა და პროკურორმა გამოიტანეს ერთსულოვანი დასკვნა, რომ სიტუაციის გასაჯანსაღებლად საჭიროა გაერთიანდეს სამართალდამცველი და სასულიერო სამსახურების ძალისხმევა.

## „ჰილტონი" კატებისა და ძაღლებისათვის

ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრებმა ახლახანს მიიღეს ცხოველთა სასტუმროების ერთიანი სტანდარტები. ეპ სააგენტოს ინფორმაციით, მინისტრებმა აღნიშნეს: ამგვარი სტანდარტების მიღების მიზანი არის არა ის, რომ დააკმაყოფილონ მდიდარ ადამიანთა ახირება, არამედ ის, რომ შეასრულონ ბევრ ქვეყანაში არსებული ცხოველთა დაცვის კანონმდებლობა. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ მეტ წილ ევროპულ ქვეყნებში ხორციელდება საკანონმდებლო ნორმები, რომელთა თანახმად, შორ მანძილებზე გადაყვანისას აუცილებელია ცხოველები დრო და დრო დაასვენონ, და მათი დასვენება უნდა მიმდინარეობდეს ცხოველთა სპეციალურ სასტუმროებში მაღალკვალიფიციური ვეტერინარების მეთვალყურეობით.

## მეცნიერები ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „შავი სალაროს" რევიზიას მოითხოვენ

ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციამ სასამართლოში უჩივლა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და მოსთხოვა გამოაქვეყნოს მონაცემები თავისი საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ. სარჩელში მეცნიერები იშველიებენ შეერთებული შტატების კონსტიტუციას, რომელშიც ნათქვამია, რომ „დრო და დრო უნდა ქვეყნდებოდეს მონაცემები, თუ როგორ იხარჯება ბეგარის გადამხდელთა ფული". კონსტიტუციის ეს მოთხოვნა სავალდებულოა და გამონაკლისს არ ითვალისწინებს.

არაოფიციალური მონაცემებით, სამმართველოს მიმდინარე ბიუჯეტი 30 მილიარდ დოლარს აღწევს. როგორც ფედერაციის დირექტორმა სტივენ აფტერვუდმა თქვა, „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალურ პირებს უჭირთ, გაარჩიონ საიდუმლო ინფორმაცია არასაიდუმლოსაგან, მაგრამ არაფერია, ჩვენ მათ დავეხმარებით" – ხელისუფლების მესამე შტოს – სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობითო.



უჩვეულო ხანძარი მოხდა ვლადიმირის ოლქის (რუსეთი) სოფელ სიმაში, რომლის 17 სახლიდან 16 დაიწვა. ხანძრის მიზეზი უცნობია.

## აშშ: მილიონი იმიგრანტი წელიწადში

იმიგრანტები მთლიანად სასიკეთო გავლენას ახდენენ შეერთებული შტატების ეკონომიკაზე, წერს „სან დიეგო უნიონ-ტრიბუნი", რომელიც იმოწმებს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწყობილი კვლევის შედეგებს. ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალურად იღებს რვაასი ათასამდე იმიგრანტს. კიდევ დაახლოებით სამასი ათასი კაცი არალეგალურად სახლდება ქვეყნის ტერიტორიაზე. გამოკვლევის თანახმად, იმიგრანტთა იაფი შრომა ხელს უწყობს საფეიქრო მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და რესტორნებს. ამავე დროს, იმიგრანტებს შორის ჯეროვანი განათლების უქონლობა, აგრეთვე მათი ოჯახების წვრილშვილიანობა, ერთობ ნეგატიურ გავლენას ახდენს ზოგიერთი შტატის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე. ამ მხრივ, ყველაზე მეტად ზარალდება კალიფორნია, სადაც ახალი იმიგრანტების მესამედი ცხოვრობს. საშუალოდ კალიფორნიელი იმიგრანტი სოციალური პროგრამების მეშვეობით იღებს 3500 დოლარით მეტს, ვიდრე უხდის ბეგარას სახელმწიფოს, წერს „სან დიეგო უნიონ-ტრიბუნი".



ფრანგმა იახტსმენმა ოლივიე დე კერსოზონმა ტრიმარან „სპორტ-ელექით" ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან დედამიწას 71 დღეში შემოუარა ირგვლივ.

## 55 წლის „სასაცილო გოგონა" თხოვდება

ჟურნალი „ტი-ვი მეგეზინი" აღწერს ჰოლივუდის „ვარსკვლავის" ბარბარა სტრეიზანდის პირად ცხოვრებას. როგორც ავტორმა შეიტყო, სტრეიზანდი თხოვდება. 55 წლის მსახიობი ქალის რჩეული გახდა მსახიობი ჯეიმს ბროლინი, რომელიც სტრეიზანდმა ერთი წლის წინათ გაიცნო თავის ყოფილ მიჯნურთან გამართულ წვეულებაზე. როგორც სტატიის ავტორს მიაჩნია, სტრეიზანდის გათხოვებისადმი პრესა არ გამოიჩენდა ასეთ ცხოველ ინტერესს, ორი გარემოება რომ არა. ჯერ ერთი, ბარბარა სტრეიზანდი ძალიან მდიდარია,მარტო უკანასკნელმა ფილმმა მას 20 მილიონი დოლარი მოუტანა. მეორეც, სტრეიზანდის წინანდელი სამიჯნურო თავგადასავლები არასდროს დამთავრებულა ოფიციალური ქორწინებით. ბროლინამდე სტრეიზანდი მხოლოდ ერთხელ იყო გათხოვილი. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას და იმ ფაქტს, რომ ქორწინების ზუსტი თარიღი ჯერ არ გამოცხადებულა, ნამდვილ გათხოვებაზე ლაპარაკი ნაადრევია, დაასკვნის სტატიის ავტორი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ სტრეიზანდმა გადაიფიქროს გათხოვება და ბროლინს ისევე მოექცეს, როგორც აქამდე ექცეოდა თავის მიჯნურებს, წერს დასასრულ „ტივი მეგეზინი".

## 14 მილიონი მათხოვარი

გაზეთი „ჯერმანი ლაივი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება რუსეთის საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობას. გაზეთი იუწყება, რომ რუსეთის 30 მილიონზე მეტი მოქალაქე ამჟამად სიღატაკის ზღვარზე დაბლა იმყოფება. ამასთან, მათგან დაახლოებით 14 მილიონმა სხვადასხვა სოციალური კონფლიქტების შედეგად დაჰკარგა საცხოვრებელი ბინა, სამუშაო და ახლა იძულებულია იწანწალოს და იმათხოვროს. გაზეთი, აგრეთვე აღნიშნავს, რომ უახლოეს ხანს სიტუაციას კიდევ უფრო მეტად გაალრმავებს უმუშევრობის ზრდა და რუსეთის მთავრობის უუნარო მოქმედება.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების,საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა–ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

# ნუშობა

„მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა
ნუშის ნაფერთალი“...
„მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“.
1926 წ.

„ნუშობა“ საგაზაფხულო პოეტური დღესასწაულია, – ბუნების აყვავებასთან მიგებება ლექსითა და სიმღერით, ხალხური გასართობებით და მაინც პოეზია პირველობდა.

„ნუშობის“ პრემიერაზე გიორგი ლეონიძის ყრმობისდროინდელ ლექსებს გთავაზობთ.

## 1. ვარსკვლავიდან — ვარსკვლავამდე

მსურს ძიებით დავწვა
სული, ხან უარვყო,
ხანა მწამდე,
ხან გმზერდე და ხან
გეძებდე
ვარსკვლავიდან —
ვარსკვლავამდე...

ხან, ვით მოგვმა,
წარვსთქვა გზნებით
ლოცვა წმინდა,
სილამაზე,
ხან გიმღერო
სიმღერები,
დაწერილი მის გამმაზე...

## უხილავო!

მე ვერ ჩაგწვდი, სულსა
სწყურის მარად სწამდე,
ის დაგეძებს სალვთო
სიტყვით —
„ვარსკვლავიდან —
ვარსკვლავამდე!“

1916 წ.

## სტრიქონები

... თუ ვქრები, როგორც
ოცნება მალი,
როგორც აჩრდილი
შუაღამისა,
თუ ვარ საფლავის
გამოძახილი
და უკვდავებაც არ მაქვს
წამისა...

თუ სასომიხდილს და
უნუგეშოს
ვერ გამაცოცხლებს
მზიური ფრთენი,
თუ ვერ დავტოვებ
კვალსა წარუშლელს,
— ცაო,
პირქუშო,
რად
შევიქენი?!

1915 წ.

## სურვილი

„ანაიც მქნა
ვერცხლის ფიალა,
შემხვაიდე
შეგერბაგოდე,
ანაიც მქნა ველის
ყვავილი
ზედ გულზე
დაგადნებოდე“
ხალხური

სურვილი რჩება
სურვილად,
თავი ვერ გამიტანია...
ვერ მივაღწიე ბილიკსა,
ვერც გადავლახე მთანია!
ლამაზო! შენით ვოცნებობ,
რა ვქნა, — ვერ მოვკალ
წყურვილი...
მინდა რომ ძლევით
შეგამკო:
— სურვილად რჩება
სურვილი.

1914 წ.

## ცას

ცავ, თუ ვერ გამხდი
უკვდავს მარადა,
ქვეყნად დამსახე
მითხარ, მა რადა?

თუ ვერ იფრენდა
ლტოლვათა რაში,
სიცოცხლე ფუჭი
მინდოდა რაში?

მაშ, მომეცალე
და მომერიდე,
მეფე ვარ თავის
მაშ, მომე რიდე!

1915 წ.

## დგება ღამე

დგება ღამე... და
ლერწმებში
იფერფლება მწუხრის ალი,
დგება ღამე... და თეთრ
სიცილს
აფრქვევს ღამის
დედოფალი...

ტყე სალამურს აკვნესებს,
ეპკურება მინდორს ნამი,
ზამბახს ჰკოცნის შუქი
მთვარის,
მეწამულ ვარდს — ცის
კამკამი.

და მე ამ დროს მესმის
ხმები,
მესმის კითხვა
საიდუმლო:
— რისთვის რად და
საიდანა,
მიწის ჭიავ, მიწის
მუმლო? —

მუმლო, დღეს თუ
დანავარდობ
ხვალ არარად
გადიქცევი,
შენ არ გმოსავს
უკვდავება
ნეტარების ჰანგთა
მწვევი.

შენ, სიზმარზე უჩქარესო,
მიწის ცრემლში ისე
სდნები,
ამოცანა — დღეს არა
ხარ,
ამოცანა — ხვალ
იქნები.

დგება ღამე საოცნებო,
დგება ღამე იდუმალი
და არ ვიცი: თუ ვინა ვარ
ან სიცოცხლე რად მაქვს
მალი?!

1915 წ.

* * *

სხივი გაიჭრა! სხივი
გრძნეული,
ზღვაზედ დასტოვა
ნაკვლევი ნელი,
ღრიალებს ტალღა!
ინგრევა კლდენი!
აფორიაქდა სამეფო
ბნელი...
. . . . . . .
— ასეა ჩემი გულიც
მგზნებარე,
ფერადოვანთა გრძნობათ
მშობელი, —
ხან თუ ჰყუჩს ობლად, ხან
მეშინია,
რომ არ წალეკოს ტანჯვის
სოფელი!

1914 წ.

## უხილავი

მე ვარ კუნძული
ქარისგან მივიწყებული,
კუბოს ფერხულში
დავტრიალებ — არსი
ქებული!
ვინც არის ქვეყნად
ყველა ვნახე ცრემლით
რებული!
ყველა სამარეს
ეკონება გაფითრებული,
გაჰქრება მისთვის
ცაში მზე — და მნათობთ
კრებული,
გახდება, როგორც
ზღვის კუნძული,
მივიწყებული...
მე ვარ სიზმარი,
თეთრ ბაღჩაში, სიზმარი
თეთრი...
ქვეყნად ორნი ვართ...
იგი და მე — სულ სხვა
გვაქვს ხვედრი.
მას სხივი ჰმოსავს
მე — წყვდიადი, ბნელი
და მკვეთრი.
ის — უხილავი,
მე ხილული სიზმრის
სიზმარი.
იგი — სიმშვიდე,
მე — უდაბნოს სამუმი ქარი,
მე — სიბნელეში
დავყიალებ,
იგი —იქ არი,
სად სხვა სიზმარი
გადაშლილა წყებად და
წყებად...
სადაც სიცოცხლე
გარდაქმნილა
თავდავიწყებად.
მუდამ — ერთად ვართ...
მაგრამ, იგი ჩემთან არა
სჩანს,
და ველოდები,
ვით მშობელი შვილის
იალქანს...
ის ჩემთან იყო...
ოდეს, სადღაც, ის ჩემთან
სჩანდა,
მას ველი ცრემლით,
ნეტავ, რისთვის
დაუგვიანდა?
. . . . . . . .
იგი გავხადე სულის
დედოფლად,
სიზმრად ვუძღვენი
ლურჯი სოსანი,
საცაა... ნავი ნაპირს
მოდგება,
მოვა ნათელი და
სხივოსანი,
მივეგებები სულის
მეუფეს
და ვეტყვი: დიდხანს,
დიდხანს გელოდი,
ნუთუ ჩემსავით
შესც სიზმარი ხა
ნუთუ ჩემსავით
დაგფარავს ლოდ
ოჰ, სხივოსანო, ხ
შორს
ოჰ, მოჩვენებავ, თ
სი
მე — შემოდგომი
ყვავილის
შენც შემოდგომით
ფოთოლი მხმ
. . . . . . .
ორნი ვართ კვალად
მე ხილული, ის —
უხილ
ის ჩემთან არი...
შეაჩერა დაღლილი
ვხედავ, ნათელი
ემა
უდაბნოს დამწვარს,
ის კვლავ დედოფლ
ამოების სცილდება
საზღ
იგი მოჰფარდა,
მაგრამ, მალე ჩემთა
იქ

# ხმა გი
# ლეონიძ
## მწერლის არქ

ერთი ზღაპრის დასაწყისისა არ იყოს, — ... მივდივარ ჰამადანსო... მივდივარ სოლოლაკში; ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში აქ იმდენი პოეტი და მწერალი ცხოვრობდა, რომ თამამად შეიძლებოდა დარქმეოდა პოეტთა უბანი...

ახლა ზოგიერთის სახელი ქუჩებსღა დაენათლა: პაოლო იაშვილის ქუჩა, გერონტი ქიქოძის, პავლე ინგოროყვასი და გიორგი ლეონიძის ქუჩები; მათ ლადო ასათიანის ქუჩაც შეემატა — ეს ჩემი ყოფილი ენგელსის ქუჩაა — აქეთ რომ ვიზამ პირს, გული ამიძგერდება ხოლმე და „მშურს“ მათი, ვინც ძველ ფუძეზე დარჩა.

— რა კარგია, რომ დედმამისეულ ჭერქვეშ ცხოვრობთ ისევ, — ვეუბნები ქალბატონ თინათინ ლეონიძეს, პოეტ გიორგი ლეონიძის ასულს...

— თინა, ნესტან... — შეეხმიანებოდა ხოლმე მშვენიერი მედეა იაშვილი თავის ლამაზ მეგობრებს, თეატრშიც ხშირად მინახავს ერთ ლოჟაში ეს „სამაია“.

ქ-ნმა თინა გვინჩიძისამ „ძველი“ დროება გაიხსენა — რასულ გამზათოვის პირველი სტუმრობა საქართველოში, მისი აღტაცება ქართველი ქალებით, ამ აღტაცების შედეგად შექმნილი მშვენიერი ლექსები.

— თქვენ
რამდენს გ
ქებდათ!...
ჩვენი შე
ონიძის არ
ნობი და ნ
რომლებსაც
ეტის შვილ
— ციფოს
ყვარულით
ლებიც გამ
გვინდა მ
სიამოვნება
ანტებში ჩა
მიანებით
წელს დან
ვიემით“...
ხილი მგონ
„გვირგვი
შენ — მ
მარო მაყ
— სხვათა
ქვიემი დედ
ვილის სიმღ
— მეუბნება
ფეფიკო (ას
ბაში), კარგ
ნწელები“
სუფრას, დ
ვისი გიტარ
მეხსიერებაშ

[...]ლავ ჩემთან მოვა,
[...]ლავ დედოფლად
გარდაიქმნება...

[...] დავრჩი ბნელში
[...] ვერ მივწვდი არსი
ქებული,
[...]ლავ დავყიალებ
სიბნელეში
[...]ემლით რებული,
[...] და სამარე?
[...]ის ჩემთა აზრთა
კრებული!
[...] დავრჩი, მაგრამ
კვლავ მასთან ვარ,
შეყვარებული!
[...]ომეცხადე!
[...]თის კუნძული
მივიწყებული...

1915 წ.

## შავთვალა შველი

სევდიანია შენი
თვალები,
როგორც მგოსანი უმიზნო
ბრბოში,
სევდიანია შენი
თვალები,
როგორც სიმღერა
საქართველოში.

სევდიანია... ნეტავი
რისთვის?
იქნებ, გაცრემლებს
სამშობლოს ბედი?
არა, ცრემლისთვის არ
გაჩენილხარ,
არ აგატირებს შენ
შემოქმედი.

მაშ, რა გატირებს,
შავთვალა შველო?
აყვავებულა სამშობლოს
მთები...
იქ ყვავილები ისე ხარობენ,
პეპელამ ისე გაშალა
ფრთები...
შენ კი ცრემლებად
რად იღვენთები?

1915 წ.

# [...]გი
# [...]!
# [...]დან

[...]ი მოგიძღვნათ,
[...]და ხოლმე, გა-
[...]
[...]ი გიორგი ლე-
[...]კრეფილი უც-
[...]ილი ლექსებია,
[...] მაწოდებს პო-
[...]რგი გვინჩიძე
[...]მაპა დიდი სი-
[...]ცისფერი თვა-
[...]
[...]ვაზიაროთ იმ
[...]ცადეთ ფოლი-
[...]რიქონების ახ-
[...]რებით კი 1921
[...]ახმელის რექ-
[...]დიის გამოძა-
[...]ედი:
[...]
[...]ულისხმობდა?!
[...]აბახმელის რე-
[...]ა გედევანიშ-
[...]ობით გადარჩა,
[...]ნი. საერთოდ,
[...]მას შინაურო-
[...]. „ცისფერყა-
[...]უსხდებოდნენ
[...] მიეხმოთ თა-
[...]რებით ჩამრჩა
[...]ხარ ვენახი“ და





„ტაბახმელის რექვიემი“, — სამწუხაროდ მხოლოდ დასაწყისი და დაბოლოება. ხმადაბლა, სევდიანად მღეროდა ხოლმე ამ ლექსს დედა...

პოეტის ასულის მიერ მოწოდებულ ამ ნაკრებში ორი რკალია: ყრმობის დროინდელი პოეზია — „ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე“ (1914, 1915, 1916) და „ბევრმა ყვავილმა გადიყვავილა“.

ამ ადრეულ ლექსებშიც ჟღერს ხმა ჭეშმარიტი ლეონიძისა.

მისივე სიტყვები რომ „გავათამაშოთ“, ისევ გრძელდება ლექსის ცხოვრება....

• ნანა ლვინეფაძე.

## [...]პრილის [...]მაირებიდან

(ფრაგმენტი) *

[...]ენ შემოიჭერ, —
[...]ხაფხული —
ვარდბიბილებით
[...] გვირგვინებით
შემოჰფინე ლექსი
პირველი...
[...] ახლაც ვსტირი;
[...]ში რაა ღიმილის ღირსი?
[...] ახლაც ვკვნესი —
[...]ში რაა გასაკვირველი?!

1916 წ.

არ აგატირებს... რადგან
თვით დასწვავს
გამოუცნობი ტრფობის
სურვილი
ეგ ტბა-ბინდისა,
ჩამონისლული,
მტრის ისრებისგან
შემობურვილი.

ეგ ატლანტიდის თეთრი
მარჯანი,
ეგ თეთრი მკერდი, თეთრი
ტილოსი,
ორი ზამბახი ღელეთა
შორის
და სიზმრის კოშკიც
მარმარილოსი...

## მთვარის სიცილი

მწუხრის შაირი ნამად
დნებოდა,
ტოტებდახრილი თვლემავდა
შვინდი,
იფანტებოდა მოლურჯო
ბინდი,
გზაზე ჩრდილები
იფინებოდა...

მე გავყურებდი შორეულ
მხარეს,
კლდეზე ცეკვავდა ცვართა
ჩანჩქერი
და რას ამბობდა
ალმასთა ჩქერი:
სატრფოს ღიმილსა თუ
სიმწუხარეს?

მე ყურს ვუგდებდი
ჩანჩქერს მქუხარეს,
გამიტაცებდა ფიქრების
ზოლი,
ვთრთოდი, ვკვნესოდი,
როგორც ფოთოლი...

უცებ... შევნიშნე ლერწამთა
შორის
სახე ძვირფასი,
დამატყვევეელი,
უკვდავ მშვენების
დამაფრქვეველი
(როგორიც იყო მაშინ
ტყე-ველი)...

როგორ დაღლილი და
დაქანცული,
როგორი ნაზი და
მოწყენილი!
ვით ჩემს ლექსებში
ჩემივე სული,
ობლად, შობილი,
ობლად შთენილი.

. . . . . . . .

და... გაჰქრა, გაჰქრა
ბედნიერება...
ვინ წარმიტაცა?.. ცრემლი
მდიოდა...
— და ხუჭუჭ ტყეში იფნის
ფოთლებზე
მთვარე სიცილით
ამოდიოდა!

1916 წ.

## შემოდგომა

ხაზარეთისკენ მისცურავს
წერო,
დგება წუთები საბედისწერო!

თეთრკაბიანმა ვერხვმა
ჩასთვლიმა,
ცრემლად იფრქვევა
რთვილი და წვიმა...
აღარ ასვენებს გრიგალი
მინებს,
კარს მიაწყდება
ამოიგმინებს...

ალბათ ჩემი მზეც ასე
ქვითინებს...

1915 წ.

## ქარვის დღეობა

ავად გაგვიხდა
დედოფალი ფერმილეული
და შეუყვითლდა ნაწნავები
შავად ხვეული.

თრთოლვით, ცახცახით
შემოიხსნა მან სამკაული
დაე, სხვამ გასცეს
ზეიმი და დღესასწაული.

ვარდის ტუჩებზე
გაიყინა ცვართა ციალი
და შემოგვესმა ენკენისთვის
ნაზი შრიალი.

ყვითელი თოვლით
დათოვლილა მწვანე
ხეობა
და ქარიშხალმაც ყველას
ამცნო ქარვის დღეობა!

გამოიყვანეთ დედოფალი
ოქროსთმიანი,
მიეგებენით ქალწულნი და
ქარქაშოსანნი.

დე იყოს ჩვენში ყველა
მეფე, ყველა მგოსანი,
ერთად ვადიდოთ
დედოფალი გვირგვინოსანი.

ერთად ვიტიროთ მზე
ჩასული — მნათობიერი
და ჩვენ სახეზე
გამოვსახოთ მისი იერი.

1916 წ.

## 2. ბევრმა ყვავილმა გადიყვავილა

### ლექსის დაბადება
### ფრაგმენტი

მოგეპარება ვეფხვივით
ლექსი,
მხრებზე დაგადებს ალმასის
ტორებს,
გულზე გაავლებს სისხლიან
ნაღარს,
თმებში ჭაღარის ლოლუებს
სტოვებს.

ჩალმადადგმული
იანიჩარი —
მოქშუის მთვარე —
ღამე გააპოს,
წარსული არი მხოლოდ
ანჩარი,
ყველა წყლულებში
შხამი
ლაპლაპობს...

. . . . . . . .

ან რა ატირებს თვით
დედამიწას,
რომ მომავალში ნახოს
ოცნება?
ამოითხრება ტირილში
სული
და ფესვიანად
გაიტყორცნება...

* * *

და სარძეული
პატარძეულის
კვლავ გაზრდის პოეტს
ჩემზედ უკეთესს...
თუ სიბერისგან
ვიქმენ ძლეული,
ახალ ცეცხლს ახლა
ის დააკვესებს.
მისი სიტყვებით
გადამწვანდება
პარტახი და კლდე
გადამძვლეული,
იქნებ, ის უკვე
აქ დაბრძანდება,
ვინც ასახელოს
პატარძეული.

---

ნუთუ გგონივართ
მართლა უსაქმო,
ჩემი დროების
საქმეს მხილვარი?!

ორი კოშკი მაქვს
მე საგუშაგო
იალბუზი და
ბროლი — მყინვარი.

---

მეგობარ ყივჩაღს
გადავცემ სირჩას
აბა,
მაჩვენეთ,
ვინ გადამირჩა?!

## ტაბახმელის რექვიემი

გახსოვს, ტაბახმელავ,
ბრძოლები გმირული
და მკერდი მრავალის
შენთვის განგმირული?!

შეამკეთ, ქალებო,
მათი საფლავები,
საქართველოსათვის
რომ დადეს თავები!..

1921 წ.

* * *

სიყვარულის ძველი სენი
ისევ მინდა გავიხსენო
შევიხედო გულისგულში
თუ... მთვარესთან
დავისვენო?

---

მაგრამ, წამიერ
სიცოცხლის ნება,
წუთით უფლება.
ვარდის ფენისა,
ყველა ლექსსა აქვს,
როგორც პეპელას
და არწივს ნება
ცაში ფრენისა!

---

მკერდში არავინ
დაგვიჭრას,
გმირი, დაჭრილი
მკლავშია!

---

ბევრმა ყვავილმა
გადიყვავილა,
გადიქალწულა
მთვარემ მრავალჯერ,
მწუხრს შემომძახა
ირმის ბღავილმა —
მოგონებების
ვიჯჯენ ყავარჯენს...

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“
„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“
1931 წ.

# მიხეილ კეკელიძე

# ასე დამთავრდა ყველაფერი

**ვბეჭდავთ შარშან აგვისტოში გარდაცვლილი უხუცესი მწერლის მიხეილ კეკელიძის (1911-1996 წ.წ.) გამოუქვეყნებელი ვრცელი მემუარების ერთ ნაწყვეტს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო დღეების შესახებ.**

ამ წელს ზამთარი მთელ საქართველოში ძალიან ცუდი იყო: თოვლ-ჭყაპი, ხანდახან სუსხიანი ქარი, მოსალოდნელზე მეტი ყინვა-სიცივე.

თებერვლის პირველ რიცხვებში ჩვენთან მოვიდა ბიძაჩემი ანდრო კეკელიძე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო პროკურატურაში მუშაობდა და შემაშფოთებელი ამბავი მოიტანა: არის ნიშნები, რომ რუსი ბოლშევიკები სომხეთ-აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენს საზღვრებთან ჯარებს თავს უყრიანო.

მამაჩემის შეკითხვაზე, ომი მოსალოდნელია თუ არაო, გვიპასუხა, დანამდვილებით არ ვიცი, რუსეთთან ჩვენ სამშვიდობო ხელშეკრულება გვაქვს დადებული და რა განზრახვით აქტიურობენ, ჯერ ვერაფერს ვიტყვითო. ჩვენი დაზვერვის ცნობით, ჯარებს რომ საზღვრებთან თავს უყრიან, ეს კი ფაქტიაო. სამიოდე დღის შემდეგ ისევ გვესტუმრა, სამხედრო ტანსაცმელი ეცვა (ის ოფიცერი იყო) და თქვა, ალბათ, ომი მოგვიწევსო.

ათ თუ თერთმეტ თებერვალს რუსეთმა პროვოკაციული საბაბით ჩვენს წინააღმდეგ ომი დაიწყო (თითქოს „აჯანყებული" ქართველების დასახმარებლად). აქამდე სახლებში შემყუდროებული ხალხი გარეთ გამოვიდა, აღელვებული, შეშფოთებული იყო და ცდილობდა ახალი ამბები გაეგო. უკვე ყველამ იცოდა, რომ რუსის ჯარს წინ მოუძღოდნენ ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, კ. ცინცაძე და ქართველი ხალხის სხვა მოღალატენი, ჩვენი სამშობლოს გამყიდველნი.

მამა რატომღაც ფიქრობდა, რომ თბილისშიც სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართებოდა და ამიტომ გადაწყვიტა, ჩვენ გავეხიზნეთ დედაჩემის ბიძასთან, მაგრამ სამი დღის შემდეგ ისევ უკან დაგვაბრუნა შინ. თვითონ ყოველდღე დადიოდა სამსახურში, მაგრამ არა სამუშაოდ, არამედ მეგობრებსა და თანამშრომლებთან შესახვედრად და ფრონტზე მდგომარეობის გასაგებად.

ყველგან ისმოდა ჟორდანიას, გენერლების – ოდიშელიძის, კვინიტაძის, მაზნიაშვილის, აგრეთვე გვარდიის სარდლის ვალიკო ჯუღელისა და სხვათა სახელები: ხალხში უდიდესი სიხარული გამოიწვია მთავარსარდლად გენერალ კვინიტაძის დანიშვნამ. რატომღაც ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალი მთავარსარდალი ბოლშევიკების არმიას დაამარცხებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ერთ დღეს მამამ თან წამიყვანა. რუსთაველის პროსპექტზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ახლა კავშირგაბმულობის სახლია, სააფიშო მრგვალი ბოძი (ქვითკირით ნაშენი) იდგა. ხალხი შეჯგუფულიყო და ახალგამოკრულ კარიკატურას უყურებდა. მასზე გამოსახული იყვნენ ლენინი და ტროცკი, რომლებიც ერთმანეთს თავში სტაფილოს ურტყამდნენ, ჰქონდა რაღაც წარწერა, მაგრამ არ მახსოვს, – რა. მივედით ჩვენც. უცებ ვიღაცამ მამას ხელი ხელში მოჰკიდა და ჰკითხა:

– მოგწონს, სევერიანე?

– ოჰ, კოლია, გამარჯობა. უცებ ვერ დაგინახე. ნახატი კარგია. ვინ დახატა?

– ჩემია. სხვა კარიკატურებიც უკვე გამოაკრეს.

ამ დროს პროსპექტზე ჩამოატარეს ორმოცამდე ტყვე რუსი ბოლშევიკი ჯარისკაცი. მათში ბევრს სამხედრო ტანსაცმელი არ სცმია. ტყავის „ტუჟურკები", ტყავის ქუდები, გალიფე და ჩექმები – აი, ეს იყო ზოგიერთი მათგანის სამოსი. ახლა რომ ვფიქრობ, ესენი „კომისრები" და „აგიტატორები" იყვნენ. მათ ბადრაგად გვარდიელები მიჰყვებოდნენ.

როცა მარტო დავრჩით, მამას ვკითხე, თუ ვინ იყო მასთან მოსაუბრე.

– მწერალი ნიკოლოზ მიწიშვილია.

აი ასე დამამახსოვრდა ის და შემდეგ რაც მოხდა მის ცხოვრებაში, ჩემთვის ყოვლად გაუგებარია. გასაოცარია, წავიდა (თუ გააგზავნეს) საფრანგეთში. ამბობდნენ, იქ გრიგოლ ვეშაპელის გაზეთ „ახალ საქართველოში" დაიწყო მუშაობაო. ვეშაპელის მოკვლის შემდეგ თბილისში დაბრუნდა, ჟურნალ „ქართულ მწერლობას" რედაქტორობდა და საგამომცემლო საქმეებში მონაწილეობდა. აქებდა კომუნისტებს და განსაკუთრებით ს. ორჯონიკიძეს (ლექსიც კი უძღვნა). იქნებ შიშით? მაგრამ მაინც არაფერმა უშველა, ისიც მსხვერპლი გახდა 1937 წლის სისხლიანი ტერორისა.

ოცდახუთ თებერვლამდე 3 დღით ადრე მამა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დამშვიდობებისას გვითხრა, მალე განახავთო. მეორე დღეს, ღამით უკანვე დაბრუნდა. როცა დედაჩემმა ჰკითხა, რა მოხდაო, თქვა:

– სადახლოში ჩავედით, მაგრამ უფროსმა ოფიცერმა არ მიგვიღო, ფრონტი გარღვეულია, ჩვენი ჯარი უკან იხევს და აბა, თქვენ სად უნდა გაგანაწილოთო. ისე კი, დიდი მადლობა გვითხრა მამულიშვილური გრძნობის გამოჩენისათვის, მაგრამ განა მადლობისთვის მივდიოდით?

ფრონტი დედაქალაქს უახლოვდებოდა. ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით გააფთრებული ბრძოლებისას ქვემეხების გრიალი ხანდახან ქალაქშიც ისმოდა. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართველმა იუნკრებმა. ერთ ხანს მტერი უკუაგდეს კიდეც, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, დროებით. მტერი მრავალრიცხოვანი იყო და ისევ განაახლა შემოტევები. ჩვენი ქუჩის ქართველი მოსახლეები შეშფოთებით იყრიდნენ თავს გარეთ, ცხარედ ლაპარაკობდნენ, ვარაუდობდნენ და ელოდნენ, თუ რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლები. უმრავლესობას კიდევ ჰქონდა გამარჯვების იმედი.

ერთ დღეს დედაჩემი ნამტირალევი მოვიდა. ახლანდელი უზნაძის ქუჩაზე რომ მეორე საავადმყოფოა, იქ ყოფილიყო ერთი ნათესავის სანახავად.

მამამ ჰკითხა:

– გარდაიცვალა ის საწყალი?

– არა.

– აბა, რა დაგემართა?

– საავადმყოფოს ეზოდან ბრძოლებში დაღუპული ჩვიდმეტი ჯარისკაცის კუბო გამოასვენეს.

25 თებერვალს დილით დამპყრობელთა წითელი ურდოები თბილისში შემოვიდნენ. დაახლოებით დღის თორმეტ თუ პირველ საათზე ყოფილი ანდრეევის (ახლა თევდორე მღვდლის სახელობის) ქუჩაზე, იქ, სადაც შერემეტევის ქუჩა (ახლა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის) ანდრეევის ქუჩას ჰკრის, გამოჩნდა რუსის ჯარი. მაყურებელთა შორის მეც ვიყავი, მამა და დედა ბინიდან არ გამოსულან. ჩემს გვერდით მეზობელი სახლის ერთი მცხოვრები ვასია დოროვსკი, ასე 20-22 წლისა, ტაშს უკრავდა და უყვიროდა:



– და ზდრავსტუეტ როდნაია როსსია!

მერე მე მომიბრუნდა.

– უბირაისია აგსიუდა! კატის ვ კუტაისი. ტიფლის ნაშ!

ქართველობა გლოვობდა. მათ შორის ჩვენი ოჯახიც. მტერმა თბილისი აიღო და დასავლეთისაკენ მიიწევდა. კარგად ვერ გამეაზრებინა, მაგრამ ალღოთი ვგრძნობდი, ყველაფერზე უფრო ძვირფასი რამ დავკარგეთ. ეს ძვირფასი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო.

უცხო ძალები, ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ ჩვენს გასათელად, სიკვდილის ცელი ხელთ ეპყრათ და რას ჩაიდენდნენ, კაცმა არ იცოდა (ახლა კარგად ჩანს, რაც ჩაიდინეს 70 წლის ბატონობის პერიოდში).

* * *

თბილისის დატოვებამ ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ბევრი უკმაყოფილებას და საყვედურს გამოთქვამდა მთავრობისა და ჩვენი ჯარის მიმართ.

– ქალაქი უბრძოლველად ჩააბარეს მტერს.

– ჩვენ ჯალათების ხელში დაგვტოვეს, თვითონ კი წავიდნენ.

– რას აკეთებდა ჯარი, გვარდია? რატომ ვერ შეაჩერეს მტერი?

რამდენად სწორია ეს საყვედურები, არ ვიცი, მაგრამ მჯერა, რომ ჯარიც და გვარდიაც, იუნკრებიც თავდადებულად, თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ხოლო თუ რატომ ვერ შეაჩერეს მტერი, ჩვენს მაშინდელ სამხედრო ხელმძღვანელობას და მთავრობის წევრებს უნდა ვკითხოთ. საუბედუროდ, ისინი ცოცხლები აღარ არიან. რა ნაწერებიც დაგვიტოვეს, საჭიროა მათი ობიექტური და კრიტიკული შესწავლა.

პირადად ჩემი ახლანდელი შეხედულებით, მტერმა რიცხვით დაგვჯაბნა და არა საბრძოლო სულისკვეთებით. გვიტევდნენ არა მარტო სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, არამედ მამისონის უღელტეხილიდან და სოხუმის მხრიდანაც. ძნელი იყო ყოველი მხრივ გამკლავება.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საზღვარგარეთის (ევროპის) ქვეყნების მთავრობები და ხალხი თანაგრძნობის გარდა ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ გვიწევდნენ. ზოგჯერ შენიღბულად აქეზებდნენ კიდეც რუსეთს საქართველო დაეპყრო (თავისი მიზნებიდან გამომდინარე).

ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა" ერთ ასეთ ფაქტს აღნიშნავს. ინგლისს ნავთი სჭირდებოდა. ლოიდ-ჯორჯთან მიდის რუსეთის ელჩი კრასინი და სთავაზობს მას ბაქოს ნავთით მომარაგებას (აზერბაიჯანი უკვე დაპყრობილია).

ლოიდ-ჯორჯი ეკითხება:

– იცით თუ არა, რომ ბათუმის გარეშე ბაქოს არაფრის მოცემა არ შეუძლია?

კრასინი ამ „შეხსენებით" ძალიან კარგად მიხვდა, რომ საჭირო იყო საქართველოს დაპყრობა და ეს განახორციელეს კიდეც წითელი რუსეთის მთავრობამ სტალინის ხელმძღვანელობით და იმ „დასტურით", რომელიც მისცა თავის გადაჯიშებულ ქართველ ლაქიებს.

მაგრამ დავუბრუნდეთ თბილისის დატოვების საკითხს. ერთი ცნობით ეს მოხდა არა მთავრობის ინიციატივით, არამედ მთავარსარდალ გ. კვინიტაძის მოთხოვნით.

არ მახსოვს რომელ თბილისურ გაზეთში დაიბეჭდა საზღვარგარეთ გამოქვეყნებული იმნაძის მოგონება, რომელიც თბილისის დატოვებას ეხებოდა (გაზეთი სადღაც გამებნა). მახსოვრობით მინდა აღვადგინო „მოგონების" ის ადგილი.

თათბირს ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია, მთავარსარდალი გენერალი გ. კვინიტაძე, გენერალი ოდიშელიძე, კიდევ რამდენიმე პირი და „მოგონების" ავტორი იმნაძე.

გენერალ კვინიტაძეს განუცხადებია, თბილისის დატოვება აუცილებელია, რადგან მოსალოდნელია მტერმა უკან დასახევი გზა მოგვიჭრას, გაემაგრდებით მცხეთასთან თუ სურამის უღელტეხილთანო. აღელვებულ ჟორდანიას უკითხავს გენერალ ოდიშელიძისათვის, შეიძლება თუ არა, არ დავემორჩილო ასეთ გადაწყვეტილებასო.

ოდიშელიძეს უპასუხნია:

– ომის დროს მთავარსარდლის გადაწყვეტილება და ბრძანება უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, ეს კანონიაო.

მთავრობაც დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და დასტოვა თბილისი. ამ ფაქტს ადასტურებს ნ. ჟორდანიაც. თათბირიდან „... გამოვედი, გამომყვა ოდიშელიძე. ვკითხე: – უფლება აქვს სარდალს ასე პიროვნულად ასეთი დიდი გადაწყვეტილება მიიღოს? კანონით უფლება აქვსო, მომიგო მან" (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წ. „სარანგი", გვ. 122-123).

გენერალმა გ. კვინიტაძემ 1921 წლის თებერვლის ამბებთან, კერძოდ თბილისის დატოვების საკითხთან დაკავშირებით, 1954 წელს პარიზში გამოაქვეყნა ნ. ჟორდანიას „ჩემი წარსულის" წინააღმდეგ მიმართული ნაშრომი „ჩემი პასუხი". იგი ბრალს სდებს მაშინდელ მთავრობას და მის მეთაურს ნ. ჟორდანიას, რომ ისინი თავდაცვისათვის სრულებით არ ზრუნავდნენ. როცა კვინიტაძის „ჩემი პასუხი" გამოქვეყნდა, ჟორდანია უკვე გარდაცვლილი იყო და არავინ იცის, რა პასუხს გასცემდა ყოფილ მთავარსარდალს.

თბილისის დატოვების შემდეგ რუსეთის წითელი არმიის შეკავება ვერ მოხერხდა ვერც მცხეთასთან, ვერც გორთან და, რაც ყველაზე უფრო სავალალო იყო, ვერ მოხერხდა საშურ-სურამის მიდამოებში, სადაც ბუნებრივი პირობებიც ხელს უწყობდა დამპყრობთა ურდოების შეჩერებას.

რატომ?..

ჩემთვის ბევრი რამ არის გაუგებარი.

რაზედაც აქ ვილაპარაკე, წარსულს ეკუთვნის. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, ხალხმა ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს, რათა ახალი „თებერვალი" თავიდან ავიცილოთ.

**სურათზე: სახალხო გვარდიელები ვალიკო ჯუღელთან (მარცხნიდან პირველი) ერთად ფრონტზე გამგზავრების წინ.**

## საზოგადოება

# სარწმუნოება სინდისის სინონიმია

ახლო წარსულისათვის თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ არა ღვთის წყალობა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობა საქართველოსი, კატასტროფა გარდაუვალი იყო. დღეს უკვე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა უმძიმეს გამოცდას, მართალია, საკმაო დანაკარგით, მაგრამ მაინც გაუძლო. მისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმისა და სიცოცხლისუნარიანობის წყალობით, მან შედარებით მოკლე დროში თავი დააღწია შექმნილ მდგომარეობას და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას დაადგა; ჰორიზონტზე აშკარად გამოიკვეთა უკეთესი მომავლის კონტურები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მისი მესაჭის, უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მეთაურობით იმ მძიმე წლებში, როცა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა თავგამოდებით ცდილობდა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა ეკლესია, უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის მთლიანობის შენარჩუნებაში. სწორედ მისი უწმინდესობის მტკიცე სარწმუნოებიდან გამომდინარე, დიდი მოთმინების, სიმშვიდისა და ბრძნული პოლიტიკის წყალობით, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ამქვეყნიურ მებრძოლ ეკლესიას, ქართველი ხალხი დედა ეკლესიის ერთიან, განუყოფელ მრევლად დარჩა.

რაღა თქმა უნდა, მტერს თავის მიზნების განხორციელებაზე ხელი არ აუღია და ბრძოლა საქართველოსა და, უპირველეს ყოვლისა, მისი ეკლესიის წინაამდეგ, რომელიც სულიერი თვალსაზრისით ისეთივე მეთაურია ერისა, როგორც უფალი იესო ქრისტე ეკლესიისა, დღესაც გრძელდება.

განსაკუთრებით 1990 წლიდან დაწყებულმა მეთოდურმა ბრძოლამ ეკლესიის წინააღმდეგ, რომელმაც ამ ბოლო წლებში მის მიგნით ღვარძლიანი თესლის დათესვით აშკარა ხასიათი შეიძინა, დღეს არა მხოლოდ ეკლესიის, არამედ ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს მთლიანობაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა, რადგან განხეთქილებას ეკლესიაში შედეგად აუცილებლად ერთიანი სამწყსოს გათიშვაც მოჰყვება.

ანტიეკლესიური და ანტიეროვნული ძალების მიერ ინსპირირებულმა რამდენიმე ბერმა საქართველოს ეკლესიასა და მის პატრიარქს, აგრეთვე ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრია, მწვალებლობაში დასდო ბრალი და მათთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა გამოაცხადა.

ერთი შეხედვით, ამ გამოყოფის მიზეზი რელიგიურია, რადგან განდგომილები თითქოს ეკლესიის სიწმინდის დაცვისათვის იბრძოდნენ, რომელიც მათი აზრით, აღნიშნულ საბჭოში საქართველოს ეკლესიის ყოფნით შეილახა, სინამდვილეში კი უნდა ითქვას, რომ რამდენადაც ეკუმენურ მოძრაობას საერთო მოძღვრება და წესდება არ გააჩნია, ხოლო მისი საბჭო წარმოადგენს ფორუმს, რომელზეც ყველა წევრს საშუალება ეძლევა თავისი სწავლების წარმოჩენისა, ბრალდება ეკლესიის სიწმინდის შელახვის თაობაზე უსაფუძვლოა და მას სარჩულად არა რელიგიური, არამედ პოლიტიკური მიზნები უდევს. რომ მსოფლიო საბჭოში ქართული ეკლესიის ყოფნა მის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ საბაბი იყო და სხვა არაფერი, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, ვინც მის დღევანდელ ცხოვრებას იცნობს და იცის, რომ დღეს ქართული ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ეკლესიაა, რომლის არც მოძღვრებასა და არც ღვთისმსახურებას არავითარი ცვლილება არ განუცდია.

არ შეიძლება შემთხვევითობას მიეწეროს ის ფაქტი, რომ ეკლესიის შიგნით არსებული ძალა, რომელიც მისი გათიშვისათვის იბრძვის, ანტისახელმწიფოებრივ ძალასაც წარმოადგენს, რაზეც პრესის ერთი ნაწილის მხურვალე მხარდაჭერაც ნათლად მეტყველებს, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში ცილისწამებებითა და შეთხზული ბრალდებებითაა გამოხატული.

განსაკუთრებით თვალში საცემია მასმედიის ამ ნაწილის შეტევა კათოლიკოს-პატრიარქზე, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურზე, რასაც, ალბათ, ანალოგია არც ერთ ქვეყანაში არ მოეპოვება (როგორც ჩანს, პირველობის სურვილს ვერც ამ შემთხვევაში ვთმობთ). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმ. სინოდის შეურაცხმყოფლებმა კი უნდა იცოდნენ, რომ ისინი საქართველოს მტერთა ინტერესებს ემსახურებიან.

როგორც ცნობილია, 1995 წლის სექტემბერში სვეტიცხოველში გამართულმა საქართველოს ეკლესიის გაფართოებულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოვიდოდა, როგორც კი ამის საჭიროებას დაინახავდა. ამ ბოლო ხანებში ეკუმენური მოძრაობის მცდელობამ საკუთარი ეკლესიოლოგიური სწავლების შემოღებისა ჩვენი ეკლესიის წინაშე ეს საკითხი მართლაც დააყენა. ამა წლის 20 მაისს გამართულ სხდომაზე, წმ. სინოდმა, გაითვალისწინა რა ეკუმენურ მოძრაობაში შექმნილი ვითარება, მსოფლიო საბჭოში ყოფნა განხეთქილების საბაბად გამოიყენეს და იმას, რაც განსჯის ობიექტი უნდა ყოფილიყო, რევოლუციური ბრძოლის ხასიათი მისცეს, მღვდელმოქმედება აუკრძალა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება ერის ღირსებაა და მისი შეურაცხყოფა ერის შეურაცხყოფას ნიშნავს. ამასთან, დავფიქრდეთ, ვის ვესხმით თავს ქუჩაში ყურმოკრული, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ საგანგებოდ შეთხზული და გავრცელებული ჭორებით — კათოლიკოს-პატრიარქს, რომლის სახელსაც უკავშირდება საქართველოში რწმენის აღმაღლობა, მრავალი გაუქმებული ტაძრისა და მონასტრის ამოქმედება და ახლის აშენება, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ 1917 წელს აღდგენილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა და დადასტურება, მძიმე ისტორიული ხვედრის გამო მართლმადიდებელ ეკლესიებთან განუწყვეტელი კავშირის აღდგენა, სასულიერო აკადემიების, სემინარიებისა და სასწავლებლების გახსნა, მრავალფეროვანი სასულიერო ლიტერატურის ინტენსიური გამოცემა, ახალი წმინდანების შერაცხვა, საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ეპარქიათა აღდგენა, საგრეხის ქართული სკოლისა და ქართული გალობის საუკეთესო ტრადიციების გაცოცხლება-განახლებაზე ზრუნვა და კიდევ უამრავი რამ, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია.

იქნებ დავფიქრდეთ ჩვენს საქციელზე, საკუთარ გულებში ჩავიხედოთ და მისი უწმინდესობის წინაშე უკვე მრავალგზის მოხდილი ბოდიში ახლა მაინც გამოდგეს გულწრფელი, როგორც ეს ჭეშმარიტ ქრისტიანებს შეშვენის.

თუ ღვთის სამსახურის მართლა გულწრფელი სურვილი გვამოძრავებს, გავიხსენოთ, რას გვასწავლის სახარება: ღმერთს, რომელიც არასოდეს უხილავს, ვერ შეიყვარებს ის, ვისაც ადამიანი არ უყვარს; ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ვერც ის უერთგულებს ღმერთს, ვისაც დედა ეკლესიისა და მამულის ერთგულება არ შეუძლია.

დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ სარწმუნოების თავისუფლება სინდისის თავისუფლებას ნიშნავს, სარწმუნოება კი — სინდისს.

**ეთერ ბაქრაძე,**
მასწავლებელი.
თბილისი.

## საზოგადოებრიობა ობიექტურად შეაფასებს

საქართველოს სახალხო პარტიის წევრთა სახელით სიონის საპატრიარქო ტაძრის იპოდიაკონმა მამუკა გიორგაძემ გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: „დიდი სულიერი კმაყოფილებითა და სიყვარულით მივესალმებით წმინდა სინოდის მიმდინარე წლის 20 მაისის გადაწყვეტილებას, რომელმაც მოხსნა დაპირისპირება და შეინარჩუნა ჩვენი დედაეკლესიის ერთიანობა“.

ამასთან ერთად განცხადებაში გამოთქმულია შეშფოთება, რომ „ამ პერიოდში საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ზოგიერთ ბეჭდვით ორგანოში იყო ეკლესიის და მისი საჭეთმპყრობლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დისკრედიტაციის მცდელობა, რაც საეჭვოდ დაემთხვა ეკლესიაში მიმდინარე რელიგიურ-თეოლოგიურ კამათს, მიიღო პოლიტიკური და ეკლესიის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი პროპაგანდის სახე. ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია მძიმე ათეიზმით დაღდასმული საზოგადოებისათვის ფაქიზი ეკლესიური საკითხების ამ ფორმით მიწოდება და ჩვენი ეკლესიისათვის უპრეცედენტო მოვლენის — სქიზმის საფრთხის შექმნა“.

განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ ქართველი საზოგადოებრიობა სათანადო შეფასებას მისცემს ყოველივეს, ლოცვითა და საქმით შეუწყობს ხელს ეკლესიის ძლიერებას.

საქინფორმი.

## უმაღლესი სკოლა

ამ დარბაზში შარშან სტუდენტური დღეების დროს გახლდით. წლეულს, კი ველარ ვიცანი იქაურობა. თავი თეატრში მეგონა. თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის განახლებულ სააქტო დარბაზში სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე რექტორს ირჩევდნენ.

ხუთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ და საფაკულტეტო საბჭოებმა რექტორის თანამდებობის დასაკავებლად რეკომენდაცია კვლავ პროფესორ ვახტანგ სართანიას მისცეს. მანამდე კი მისი სამუშაო პროგრამა საერთო განსჯისათვის უნივერსიტეტისავე გაზეთ „თაობაში“ გამოქვეყნდა.

სხდომაზე მოისმინეს და დაამტკიცეს საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის, პრორექტორის სასწავლო დარგში, დოცენტ დანიელ ჯიბლაძის ანგარიში.

— 1992 წლიდან პედაგოგიურ უნივერსიტეტს გარკვეულწილად ავტონომია მიენიჭა. ჩვენ კი ნამდვილი ავტონომია განვახორციელეთ — ფაკულტეტებს დამოუკიდებლობა მივეცით. ზოგ შემთხვევაში ისინი ცალკეულ საკითხს განსხვავებულად წყვეტენ. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საერთო კრიტერიუმებს არ ვეძებდეთ, რომელიც უნივერსიტეტს აერთიანებს და მის განუმეორებელ სახეს ქმნის. მაგალითად, ჩვენ უკვე გადავედით სწავლების ახლებურ, ორსაფეხურიან სისტემაზე. სტუდენტი ოთხწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ მიიღებს ბაკალავრის წოდებას და შესაძლებლობა აქვს სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელოს. სწავლების ამგვარი ფორმა მიახლოებულია დასავლეთევროპულ მოდელთან. ამით შესაძლებელი იქნება ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომების ნოსტრიფიკაცია. ავტონომია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უმაღლესი განათლების წინსვლას და მის განვითარებასა და გაფართოებას კვლავაც შევეცდებით.

სტუდენტი კარგად უნდა გავარკვიოთ სკოლათმცოდნეობასა და დიდაქტიკაში, პრაქტიკულად შევასწავლოთ ხვალინდელი სკოლისათვის კომპეტენტური მასწავლებლის მოდელი. საამისოდ შემუშავებულია უწყვეტი პედაგოგიური განათლების პროგრამა, და მისი განმახორციელებელი საუნივერსიტეტო ცენტრი.

ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მოვაგვაროთ საუნივერსიტეტო, აგრეთვე საბაზო სკოლებისა და საკუთარი საბავშვო ბაღის გამოყოფის საკითხი.

ჩემს უპირველეს მოვალეობად ვთვლი ბრძოლას უნივერსიტეტის რეალური დაფინანსებისათვის, პედაგოგიურ უნივერსიტეტს თავისი საარსებო მინიმუმი უნდა ჰქონდეს. მზად ვარ მხარი დავუჭირო ყველა გონივრულ სიახლეს, ვითანამშრომლო ჯანსაღი აზრის მქონე ოპონენტებთან — თქვა გამოსვლისას პროფესორმა ვახტანგ სართანიამ.

## მადლობა ყველას, ვინც მხარში მედგა

მოვიტანთ ამონარიდებს პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოღვაწე ცნობილ მეცნიერთა გამოსვლებიდან:

პროფესორი ლეო კვაჭაძე: „ვახტანგ სართანია 5 წლის წინათ ავირჩიეთ. საუცხოო პიროვნებამ, კარგმა ორგანიზატორმა ბევრი რამ გააკეთა. ამ ძნელბედობის ჟამს თანამშრომლებს მხარში გვედგა. თბილი და გულისხმიერია უფროსებთან თუ უმცროსი თაობის წარმომადგენლებთან, რაც მისი მორალის, მაღალი ღირსების მაჩვენებელია.“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი: „პროფესორ ვახტანგ სართანიას აქვს ყველა ის ღირსება, რაც დიდი უნივერსიტეტის რექტორს მოეთხოვება.

ადრე ჩვენს უნივერსიტეტს „ნუცას სკოლას“ უწოდებდნენ, ახლა კი თამამად შეუძლია სახელოვანი უნივერსიტეტების გვერდით დადგეს, რომელიც უცხოეთშიც უკვე შეამჩნიეს და აფასებენ კიდეც. ვ. სართანიას მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი მხარე არის საგარეო ურთიერთობები, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა წინსვლა. ვახტანგ სართანიამ იცის როგორ წარმართოს შემდგომი საქმიანობა. მადლობა მას ყველაფრისათვის. მას აქვს დაუშრეტელი ენერგია და თავისი ქვეყნის, ხალხისა და კოლექტივის სიყვარული“.

პროფესორი ვლადიმერ ბალაბანოვი: „ბატონ ვახტანგ სართანიას გლობალური აზროვნება აქვს, ის ნამდვილად უსწრებს მოვლენებს, ეს მის საქმიანობაშიც კარგად ჩანს“.

სხდომის თავმჯდომარემ, პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ კათედრასთან მიიწვია მხოლოდ ისინი, რომელთაც კრიტიკული შენიშვნები ექნებოდათ. ასეთი არავინ აღმოჩნდა.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორ პაატა ცინცაძე? 

**ბელა დურგლიშვილი.**

## ზეიმის ექო

# „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა...“

მადლობა ღმერთს, ომის ვეტერანებს საიმედო ქომაგი გამოუჩნდა – ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა. ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, პარლამენტთან შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც ეკისრება ომის ვეტერანთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. თავგანწირვისა და ნალვაწის ჯეროვანი დაფასება.

მართალია, აქა-იქ ჯერ კიდევ ქირქილებენ ნაომარ ვაჟკაცებზე, ვისთვის იბრძოდით, რისთვის ღვრიდით სისხლს, რატომ არ მიატოვეთ ფრონტი და ტყვებს არ შეაფარეთ თავიო... ასეთი მკრეხელური აზრების ქადაგთათვის საკმაო პასუხი იყო წლევანდელი ცხრა მაისის დღესასწაული, თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში მოწყობილი ხალხმრავალი დემონსტრაციები და მიტინგები, ჩვენი დედაქალაქის ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვა, რითაც დიდი სითბო და პატივისცემა გამოხატა ომის ვეტერანთა მიმართ... ეს იყო თავისებური აღსრულება გალაკტიონის წინასწარმეტყველებისა – „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებსო“.

ზეიმში, როგორც ყოველთვის, ახლაც გულმხურვალედ მონაწილეობდნენ საბურთალოელი ომის ვეტერანები (რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე – ა. ხურციძე).

ჯერ იყო და, „საქნავთის“ კლუბის დიდ დარბაზში შთამბეჭდავად მოეწყო გამარჯვების 52-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელსაც განსაკუთრებული შინაარსი შესძინა ი. სტალინის შვილიშვილის ევგენი ვასილის ძე ჯუღაშვილის დასწრებამ და მისმა გამოსვლამ ზეიმის მონაწილეთა წინაშე.

9 მაისს რაიონის გამგეობამ და რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდმა მშენებლობის სამინისტროს სამეჯლისო დარბაზში დიდი შეხვედრა მოუწყვეს ომის მონაწილეებს. შეხვედრას ესწრებოდნენ რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, ერისა და ქვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი მამულიშვილნი. წარმოითქვა გულში ჩამწვდომი სიტყვები, იყო მოგონებები, მილოცვები. ზეიმს ხიბლს მატებდნენ სცენის ცნობილი ოსტატები.

სტუმრებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, მედიკამენტები, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია – მომავლის იმედი, გაუბზარავი რწმენა ჩაესახა თითოეულ მათგანს.

**გიორგი ალავერდაშვილი.**

## ვულოცავთ!

ჩვენს საყვარელ ძმას გოგი აბაშიძეს დაბადების სამოცდამეხუთე წლისთავს, რომელიც ხვალ უსრულდება, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს თავისი შვილებით, შვილიშვილებითა და ყველა საყვარელი ადამიანით.

ჩვენო გოგი, ბედნიერები ვართ, რომ გილოცავთ ამ ლამაზ თარიღს, რომელსაც შენთვისაც და ჩვენთვისაც საოცრად აფერმკრთალებს იმისი უსაზღვროდ ტკივილნარევი შეგრძნება, რომ ამ დღეს ჩვენთან არ არის შენი საყვარელი პირმშო დათო, აფხაზ სეპარატისტთა ტყვიით რომ დაეცა. დაე, დათოს ერთადერთ შვილს, პატარა თორნიკეს შეძლებისდაგვარად გაეხალისებინოს შენთვის გული და ცხოვრება.

დიდი სიყვარულითა და
პატივისცემით შენი მრავალრიცხოვანი
დედ-მამიშვილები თავიანთი ოჯახებით.

საქართველოს ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდის სალიკვიდაციო კომისია იტყობინება, რომ დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისაგან პრეტენზიები მიიღება 1997 წლის 31 მაისის ჩათვლით.

სავალდებულო სამედიცინო გადასახადის ჩაარიცხვა გაგრძელდება სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ანგარიშზე 103700296 კოდი 521006. ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო.

**სალიკვიდაციო კომისია.**

## სიმბოლიკა

# დავიბრუნოთ და აღვადგინოთ

ჩვენი ამჟამინდელი ჰიმნი რომ ვერ ჰიმნობს, როგორც ეს სახელმწიფო ჰიმნს შეჰფერის – ვერც ტექსტით და ვერც მუსიკით – ამაზე, ალბათ, ცოტა ვინმე თუ შემოგვედავება. რამდენიმე წლის წინათ, როცა ყოველივე საბჭოურისდროინდელის მოუფიქრებლად, ხელაღებით, ნიშნისმოგებით გადახაზვა, უკუგდება თუ იავარქმნა ესოდენ მოდური თუ პოპულისტური გახდა, იოლად შეველიეთ ოთარ თაქთაქიშვილის დიდებულ, ქრუანტელისმომგვრელ მუსიკასაც, რომელიც სწორედ რომ ფეხზე წამოაყენებდა კაცს.

რამდენადაც ვიცით, საქართველოს ახალ ჰიმნზე ტექსტი და მუსიკა (კონკურსი) უნდა გამოცხადდეს თუ ახალი დიდებული ჰიმნი გამოჩნდება, ამას რა სჯობს, მაგრამ თუ არა – კომპეტენტური ჟიური ყველაფერს ობიექტურად დაადგენს და თუ დავრწმუნდებით, რომ უკეთესი ჰიმნი მართლაც ვერ დაიწერა, მაშინ ეგებ „დავიბრუნოთ“, „აღვადგინოთ“ ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა და მასზე ახალი ლექსის „მოსარგებად“ გამოვაცხადოთ კონკურსი – ასეთია ჩვენი წინადადება.

**მანანა კორძაია,**
**თამაზ ეგანოიძე,**

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტები.

## გვეკითხებიან:

**– ვიცით, რომ საქართველოში მოქმედებს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც გასცემს კრედიტებს ფერმერებზე, მწარმოებლებზე, მოვაჭრეებზე.**

**რა მოცულობის სახსრები ბრუნავს აქ? აბრუნებენ თუ არა ამ სესხს?**

– „საპარტნიორო ფონდის“ სახსრებიდან 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისის პირველ ნახევრამდე 19 სერთიფიცირებული ბანკის მეშვეობით კრედიტის სახით გაიცა 17.156.065 მლნ. ლარი.

აქედან მწარმოებლებზე – 8.201.559, მოვაჭრეებზე – 8.954.506 ლარი.

1996 წლის მაისიდან სექტემბრამდე „საპარტნიორო ფონდის“ სახსრებიდან კრედიტის სახით გაცემული 10.2 მლნ ლარის დაფარვა კომერციული ბანკების მიერ მიმდინარეობს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე დამტკიცებული ბიზნეს-გეგმის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

დღეისათვის გაცემული 10.2 მილიონიდან კომერციული ბანკების მიერ დაბრუნებულია 8.062530 ლარი, საიდანაც ხელმეორედ გაიცა 7.474.782 მლნ ლარი.

ამ ეტაპზე სესხებს ფარავენ ძირითადად ვაჭრები, მეწისქვილეები, მცხობელები. რაც შეეხება ფერმერებს, მათზე წლევანდელი მოსავლის აღებამდე ვერაფერს ვიტყვით.

სოფლის მეურნეობისა და
სურსათის სამინისტროს
პრესსამსახური.

## ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტთან არსებული დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო კოლეჯი

### აცხადებს მიღებას 1997-1998 სასწავლო წლისათვის

კოლეჯის მოსწავლეები გარდა III ეტაპის ზოგად-საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული განათლებისა, შეიძენენ სპეციალურ ცოდნას დასავლურ ენათა და კულტურათა განხრით და დაეუფლებიან შემდეგ სპეციალობებს:

1. რეფერენტი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენა);
2. გიდი (უცხოური ენის ცოდნით);
3. პერსონალური კომპიუტერის ოპერატორი, საოფისე საქმის მწარმოებელი;

კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან ინსტიტუტის შესაბამისი ფაკულტეტის II კურსის ფასიან განყოფილებაზე, წარჩინებულნი კი თავისუფლდებიან გადასახადისაგან. კოლეჯის დიპლომი ტოლფასია საქართველოს ყველა საშუალო სპეციალური სასწავლებლის ატესტატისა.

კოლეჯში სასწავლო პროცესი წარიმართება ქართულ ენაზე.

კოლეჯში სწავლის ვადაა 3 წელი.

სწავლა ფასიანია.

მიღება ცხადდება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ განყოფილებებზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევათ 9-კლასდამთავრებულ ახალგაზრდებს.

**საბუთები მიილება 26 მაისიდან 26 ივნისამდე, 10-დან 14 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა (დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ კოლეჯის კომისიას).**

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 45,
კოლეჯის დირექცია. ტელეფონი: 22-32-43.

## გასწორება

ჩვენი გაზეთის 1997 წლის 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში „გაკოტრების ათი პირველი კანდიდატი“, რომელიც მოწოდებულია საქინფორმის მიერ, დაშვებულია უზუსტობა. ნაცვლად სააქციო საზოგადოება „თბილღვინო“ (2 მილიონ 515 ათასი ლარი) უნდა იყოს სააქციო საზოგადოება „თბილლუდი“ (იგივე თანხა).




## იყიდება

იყიდება სამოთახიანი, კუთხის ბინა 4 აივნით 14 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე, დიღმის ტყე-პარკთან. ფასი 17 500 დოლარი. ტელ: 51-81-24, სოსო.

იყიდება სამოთახიანი, იზოლირებული ბინა გ. ტაბიძის ქ. 22-ში (სოლოლაკში). ბინა ბელეტაჟზეა. ტელ. 93-34-42, იკითხეთ ნინა.

იყიდება პრივატიზებული ოროთახიანი ბინა (მიმატებულია ორი ოთახი). დიდი ლოჯიით, გარაჟით, რკინის კარებით, აიეტ-ტვ-თი, ატმორით, ჩაშენებული ხის კარადებით, ორი აივნით. აბაზანა, ტუალეტი, სამზარეულო კაფელითაა მოპირკეთებული. მისამართი: წერეთლის გამზ. 87, მესამე სართული. ტელ: 34-64-21, ლამარა (გამოფენასთან). ფასი შეთანხმებით.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული კარგად გარემონტებული (გადაკეთებული) ბინა ჭავჭავაძის 75, კორპ № 5, IV სართული (ვაკის აუზთან), ტელ: 22-08-57, ნანა, თენგიზი.

იყიდება 5-ოთახიანი იზოლირებული ბინა მ. „ავლაბართან“ I სართული – 2 ოთახი ნახევარსარდაფი, საერთო ფართია 87 მ², II სართული – 3 ოთახი. სამზარეულო – 16 მ², არის მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 12.000 დოლარი. ტელ. 96-52-87, 96-34-91.

სასწრაფოდ იყიდება ჩუღურეთის რ-ში ოთხოთახიანი, კეთილმოწყობილი, სარემონტო ბინა ტელეფონით და ავტოფარეხით, საერთო ფართი 95 კვ.მ. ტელ: 96-30-97.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა მიშენებით (42 კვ.მ.) 8 სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, ტელეფონით, მეტრო „ნაძალადევის“ ეზოში, ცოტნე დადიანის 34. კორპ. 17. ფასი 20000 დოლარი. ტელ.34-08-01.

იყიდება ერთოთახიანი, ჩეხური პროექტის, გარემონტებული ბინა VII სართულზე. მისამართი: ვარკეთილი-3. I მ/რ. XIV კორპ. IV სადარბაზო, ბინა 90. ზინა.

იყიდება დიდი დიღმის IV მ. რ-ში ოთხოთთახიანი, ჩეხური პროექტის, გარემონტებული ბინა. გამოცვლილია პარკეტი, კარ-ფანჯრები, სანტექნიკა. აბაზანა-ტუალეტი კაფელითაა მოპირკეთებული. დიდი ოთახი და ლოჯია გაერთიანებულია. ბინას აქვს რკინის კარები და მანქანის სადგომი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-33-30.

## სხვადასხვა

ვყიდი სასწრაფოდ ხაზზე მომუშავე საკუთარ ავტობუსს „ლაზ 695“. მანქანა ბუნებრივ საწვავზეა. ტელ; 39-47-96.

იყიდება იაფად ახალი ირანული საძინებელი და სამეული შეფუთულ მდგომარეობაში.
ტელ. 63-36-13.

იყიდება უჟანგავი ფოლადის 1000 და 2000 ლიტრი ტევადობის სათავსოები. ფასი შესაბამისად 500 და 800 ლარი. 71-52-96, სერგო.

იყიდება უნგრული, 3-5 ტონის ტევადობის მაცივარ-კამერა, რომელიც კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-68-12. ციალა.

იყიდება გამსახურდიას ტიპის 7-აკვნიანი თონე საშელით და ორი ქვაბით. ფასი 2500 ლარი. ტელ. 71-52-96, სერგო.

## ტურიზმი

# დაღლილი სულის დასასვენებლად ...



ამ ათიოდე წლის წინათ პირიქითა ხევსურეთში, კერძოდ შატილის სიახლოვეს, სოფელ გიორწმინდაში შეიქმნა ტურბაზა, სადაც ეგზოტიკისა და მოგზაურობის უამრავი მოყვარული ისვენებდა და, ხევსურების სტუმართმოყვარეობით მოხიბლულნი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდა უკან.

ახლა კი, როცა გაზაფხულდა, სეზონი დადგა, ტურბაზის დირექტორი, პოეტი ალექსი ბაბური რედაქციაშიც გვეწვია და ტურბაზის მუშაობის შემაფერხებელ პრობლემებზე გვესაუბრა.

– ტურბაზა „შატილი" სამოცდაათადგილიანია. აქ მართლა შეიძლება დაღლილი სხეულისა და სულის დასვენება. დირექტორად 1989 წელს დამნიშნეს. დღემდე განძად მომყვება მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის ნუგზარ ოდიშვილის სიტყვები:

– ალექსი, წელიწადში სამიოთხი თვე მოგიწევს მუშაობა, იმრომე მთელი დატვირთვით, კაცურად დახვდი მომსვლელს, გააცანი ჩვენი კუთხის წეს-ჩვეულებანი, დანარჩენ დროს დაჯექი და წერეო. არც მანამდე და არც შემდგომში, შემოქმედებითი თვალსაზრისით, მსგავსი ხელშეწყობა არავის გამოუჩენია.

მთაში მამა-პაპათა ტრადიციები მეძახდა, ლექსი და სისხლი (შატილელები არიან ჩემი დისშვილები და მამიდაშვილები), პირველქმნილი სიწმინდე მეძახდა, რომელიც შორიდან უფრო წარმტაცი ჩანს. სამწუხაროდ, ის სიწმინდე და კაცობა დღევანდელი ხევსურეთისა და ხევსურების მიმართებაში ხშირ შემთხვევაში ბრჭყალებშია მოსახსენებელი.

ამ ლეგენდარული წარსულის მქონე კუთხის ზოგიერთი ჩამომავალი, დღეს გოშიებად ქცეულან და მათი კაცობის მარეგულირებელი მხოლოდ და მხოლოდ დოლარები გამხდარა.

ახლა ტურბაზა... მას 1992 წლიდან დამსვენებელი აღარ ჰყოლია და აქედან გამომდინარე, სალაროც დაგვიცარიელდა, ვინაიდან თვითდაფინანსებაზე დავრჩით. შემოსავალი იმდენად მცირე იყო, წლიდან წლამდე ხელფასების გასაცემად ძლივს გვყოფნიდა.

1992 წლიდან დღემდე ტურბაზის ყოველგვარი ხარჯი ჩემი ოჯახის კისერზეა (ორი დარაჯის ხელფასი, სარემონტო სამუშაოები, მანქანა, საწვავი და ა.შ.).

იცით, ალბათ, თუნდაც ერთხელ შატილში გადასვლა რა ჯდება. იმ ძნელბედობის ჟამს გადარჩენილი ტურბაზა 1995 წელს გატეხეს და გაძარცვეს. სოფელ შატილში არსებული საცხოვრებელი კოტეჯებიც მიიტაცეს. განცხადება დავწერე დიდჩინოსანი პიროვნების დაქინებული მოთხოვნით (ძველი ხევსურული ტრადიციებით საქმის მოგვარების მომხრე ვიყავი და ვარ). დანაშაული იმდენად ნათელია, რომ მისი გახსნა წუთების საქმე იყო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია, იმიტომ რომ დამნაშავეებს მფარველი გამოუჩნდათ სწორედ იმის სახით, ვისაც პირველს ევალებოდა წესრიგისათვის ზრუნვა და მისი დაცვა. ამ პიროვნებამ ჩემი განცხადება დამნაშავეთა გულის მოსაგებად და ჩვენს გადასამტერებლად გამოიყენა. მას მერე ოთხჯერ გატეხეს ტურბაზა და წაიღეს, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. ბევრი ვირბინე სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ უშედეგოდ – დანაშაული დღემდე არ გახსნილა.

ახლა კი დადგა დრო, მთას მართლა მივხედოთ. დახმარება გვჭირდება, როგორც ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ასევე რაიონის ხელმძღვანელობისაგან, ამ ეგზოტიკურ და მიტოვებულ კუთხეს ყურადღება და მომსვლელი სჭირდება.

რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, უკვე გამოვეცი ოთხი პოეტური კრებული, ორი წიგნი წელს გამოვა. ვარ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი და აქედან საკმაოდ დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ, კერძოდ, მისი თავმჯდომარის ბატონ გურამ ფანჯიკიძის მხრიდან.

ტურბაზაში მუშაობის დაწყების დღიდან ზოგიერთი უკულმართი ერთმანეთის შენაცვლებით ჩიოდა, რომ ტურბაზა „მათ მიწაზეა". აი, ეს არის ყველაზე მეტად გულსატკენი. ვისაც კი ეს ამბავი შევჩივლეთ, ყველას გაუკვირდა, იქაც დაიწყეს ასეთებიო, მთის კაცი ასე არ უნდა დაკნინდესო.

უფრო გულსატკენი კი ის არის, რომ ასეთებს მანუგეშებელნი და ყურის დამგდებნიც გამოუჩნდნენ.

იქნებ ჩემი ტკივილი გაიგონოს იმან, ვისთვისაც ყველაფერი სულ ერთი არ არის, ვისაც რაიმეს გაკეთება შეუძლია სიწმინდის, მაღალი ზნეობის აღსადგენად და მთის საკეთილდღეოდ.

ესაუბრა

**იზა ჯაჭვაძე.**

ჯავარ ლომაძის ფოტო.

# სპორტი

## „საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

## ჭადრაკი

### მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები

# პია კრამლინგი



გამოჩენილი შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი ახლა მესამეა (2545) მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების „რეიტინგ-ლისტში". მას მხოლოდ იუდით პოლგარი (2645) და მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი (2665) უსწრებენ. ამიტომაც გარკვეულად დასაბუთებული იყო ფიდეს გადაწყვეტილება, როცა კრამლინგი უკანასკნელ საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობისაგან გაათავისუფლეს და პირდაპირ მომავალ ორწრიან პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მისცეს.

პია კრამლინგმა (დაიბ. 1963 წ. 23 აპრილს) სპეციალისტების ყურადღება 15 წლის ასაკში მიიპყრო, როცა იგი ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე შვეციის გუნდის ლიდერად მოგვევლინა. ამის შემდეგ მან თითქმის მთლიანად ვაჟთა შეჯიბრებისაკენ აიღო გეზი, განახორციელა „პოლგარების პოლიტიკა" ჯერ კიდევ პოლგარების დაწინაურებამდე. აქეთკენ ნიჭიერ მოჭადრაკეს იმანაც უბიძგა, რომ მანამდე, სულ 13 წლისა ქვეყნის ჩემპიონი გახდა, არა მარტო გოგონებს, არამედ ჭაბუკებს შორისაც, ამან შვედი მიმომხილველების აღტაცებული გამოხმაურება გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც გაუსდალში (ნორვეგია) ქალთა ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა და ჩინებულად ითამაშა ქალთა 1982 წლის ოლიმპიადაზე (პირველი ადგილი პირველ დაფაზე), შვედ ქალიშვილს დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ერთი წლის შემდეგ კოპენჰაგენის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში III-IV ადგილები გაიყო, რისთვისაც კრამლინგი საერთაშორისო ოსტატი გახდა მამაკაცთა შორის. ეს, მართლაც, დიდი მიღწევა იყო. სხვადასხვა შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლისათვის კრამლინგს 1983 წელს უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო „ოსკარი" გადაეცა. აქ მისი წინამორბედი ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ, რომელმაც ახლად შემოღებული ეს პრიზი 1982 წელს დაიმსახურა.

ერთი სიტყვით, შვედი მოჭადრაკის დიდმა წარმატებებმა ჭადრაკის სამყაროში ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია. ფიქრობდნენ, რომ იგი მოახერხებდა იმას, რაც აქამდე ვერავინ შეძლო – მსოფლიო ჩემპიონობას შეეცილებოდა ქართველ მოჭადრაკეებს.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო კრამლინგის მონაწილეობა თბილისის 1984 წლის საერთაშორისო ტურნირში. ჩვენ რომ გვკითხონ, ასეთი ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ასპარეზობა, თუ მსოფლიო პირველობების ციკლით გათვალისწინებულ შეჯიბრებებს არ ჩავთვლით, არასოდეს ჩატარებულა! მართლაც, ვიღა არ თამაშობდა თბილისში: გაფრინდაშვილი, იოსელიანი, გურიელი, ალექსანდრია, ახმილოვსკაია, ლიტინსკაია, თვით მსოფლიო ჩემპიონი ჩიბურდანიძე. ამ შეჯიბრებაში, როგორც ცნობილია, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილმა, მეორე იყო ნანა იოსელიანი, კრამლინგი კი – მეექვსე. ზოგმა შვედის ასეთი შედეგი მარცხად ჩათვალა, ზოგი ამ აზრს არ იზიარებდა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი იყო – 21 წლის კრამლინგი, უეჭველად, მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების ფრიად მცირერიცხოვან წრეს მიეკუთვნებოდა და მისთვის ყველას ანგარიში უნდა გაეწია.

1984 წელს მთელი მსოფლიოს საჭადრაკო პრესა მოიარა პარტიამ, რომელიც პიამ მოუგო იმ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს ვიქტორ კორჩნოის. ამავე წელს მან კვლავ პირველი ადგილი დაიკავა ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადის პირველ დაფაზე, რაც, ცხადია, ახალი მნიშვნელოვანი წარმატება იყო. 1986 წელს მოეწყო კრამლინგის მატჩი სკანდინავიის ჩემპიონთან, ცნობილ ნორვეგიელ დიდოსტატ სიმენ აგდესტეინთან, ფრიად კოლორიტულ პიროვნებასთან, რომელიც მაშინ ნორვეგიის ნაკრების წევრიც იყო... ფეხბურთში. ფავორიტად ვაჟი ითვლებოდა, მაგრამ მან მაინც ვერ დაამტკიცა თავისი უპირატესობა – ოთხი პარტიისაგან შემდგარი მატჩი ყაიმით დასრულდა: მეტოქეებმა მოიგეს თითო პარტია, ორი კი ყაიმით დამთავრდა. შვეციის პირველობაზე ვაჟთა შორის 1987 წელს მოჭადრაკე ქალმა მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ამის შემდეგ, ბუნებრივია, დადგა საკითხი პიას ქვეყნის ვაჟთა ნაკრებში მიწვევის შესახებ, რაც განხორციელდა კიდეც და იგი მრავალრიცხოვან გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა.

1985 წლიდან მოყოლებული, კრამლინგი სისტემატიურად მონაწილეობს ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ციკლებში. როგორც წესი, საზონათშორისო ტურნირების გამარჯვებულთა შორის არის, თამაშობს პრეტენდენტთა ასპარეზობაშიც, სადაც მაღალ შედეგებს აღწევს, მაგრამ ისეთს არა, რომლისაკენაც მიისწრაფვის. კერძოდ, მას აქამდე მსოფლიო პირველობაზე მატჩის უფლება არ მოუპოვებია, თუმცა, ცხადია, იმედს არ კარგავს.

როგორ თამაშობს კრამლინგი? ასეთი სტილი საერთოდ დამახასიათებელია პროფესიონალი მოჭადრაკისათვის, რომელიც განუწყვეტლივ მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. პია თამაშობს საკმაოდ ფრთხილად, დიდოსტატებთან ყაიმის წინააღმდეგი არ არის, ცდილობს გაუსწორდეს იმ მონაწილეებს, რომლებიც მას ძალით ჩამოუვარდებიან და მოიპოვოს რომელიმე პრიზი, რასაც საშუალო ძალის შეჯიბრებაში თითქმის ყოველთვის ახერხებს. ამავე დროს, დიდი გამოცდილების შედეგად, კრამლინგმა საკმაოდ დახვეწა ტექნიკა და ახერხებს თავისი უპირატესობის ზუსტად გამოყენებას. შვედ მოჭადრაკეს არც თუ ისე ფართო, მაგრამ კარგად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი აქვს, მისთვის რომელიმე წინასწარ მომზადებული ვარიანტის თავზე მოხვევა იოლი არ არის.

რა პრეტენზიები აქვს კრამლინგს პრეტენდენტ ქალთა ასპარეზობის წინ? ეჭვგარეშეა, გააკეთოს ის, რასაც აქამდე ვერ მიაღწია – გამოვიდეს პირველ ან მეორე ადგილზე.

**გივი გამრეკელი.**

## მძლეოსნობა

# მარათონს ფასი ადევს



„სტუდენტური გაზაფხული-97"-ის პროგრამით გუშინ გაიმართა მძლეოსნური შეჯიბრება „მცირე მარათონი" (4600 მ) თავისუფლების მოედნიდან ვაკის პარკამდე. ასპარეზობაში ჩაება 790 მძლეოსანი სტუდენტი, მათ შორის 230 ქალი და 560 ვაჟი. ფინიშთან პირველი მიიჭრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი (15.01.3). საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, „სტუდენტური გაზაფხული-97"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა გამარჯვებულს შეჯიბრის მთავარი პრიზი – მსუბუქი ავტომანქანა – „ვაზ-2108" გადასცა. აღსანიშნავია, რომ ზილბერშტეინი 16 წელიწადია მძლეოსნობაში ვარჯიშობს, აქედან 10 წელი საქართველოს ჩემპიონია საშუალო და გრძელ დისტანციებზე. ასეთი ძვირფასი პრიზი კი ცხოვრებაში პირველად ერგო.

„მცირე მარათონში" მეორე ადგილზე გავიდა სპორტის აკადემიის სტუდენტი დავით სამხარაძე. იგი ტელევიზორით დააჯილდოვეს. ამავე სასწავლებლის სტუდენტი გიორგი ბერძენიშვილი მესამე ადგილით და ვიდეომაგნიტოფონით დაკმაყოფილდა.

ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი სპორტის აკადემიის სტუდენტებმა დაიკავეს. პირველ ადგილზე გავიდა თეა გელაშვილი, რომელსაც წილად ხვდა ფოტოაპარატი „პოლაროიდი", მეორე და მესამე ადგილებზე გასული იამზე ტოგონიძე და კლარა ხომასურიძე ფრანგული სუნამოებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია.**

სურათზე: ზიგმუნდ ზილბერშტეინი პრიზითურთ.

ავტორის ფოტო.

## ძიუდო

# „შევარდენი" მოგებით იწყებს

ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში ქართველი ძიუდოისტები წლეულს პირველად იღებენ მონაწილეობას. გუშინ თასის გათამაშების პირველ წრეში თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს „შევარდენისა" და ხორვატიის „დუბროვნიკა ბანკას" ძიუდოისტები. დაძაბული ორთაბრძოლა ქართველ მორკინალთა გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 5:2. ვალაზე ადრე მიაღწიეს წარმატებას გიორგი ვაზაგაშვილმა (65 კგ.) იგორ იანკოვიჩთან, დავით ნადარაიამ (78 კგ.) ლეონარდო ბულიჩთან, სოსო ლიპარტელიანმა (86 კგ.) ივან ობერანთან, გია გუგავამ (95 კგ.) ელი ბაიურინთან და რამაზ ჩოჩიშვილმა (მძიმე წონა) ტამერლან ტმენოვთან. ჩვენმა მოჭიდავეებმა მხოლოდ ორი ორთაბრძოლა დათმეს: ნესტორ ხერგიანი (60 კგ.) დამარცხდა ნაით ბაგიროვთან, ხოლო კობა თალიაშვილი (71 კგ.) – იგორ კოლევთან.

(შეხვედრის რეპორტაჟს შემოგთავაზებთ).

# ემატოს!..



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის გამგის ბორის ლომსაძის ტიტულებს, რომელიც არის 220 მეცნიერული შრომის ავტორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო საზოგადოებრივი აკადემიის წევრი, ამერიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრი, ახალქალაქის საპატიო მოქალაქე, ახლახან შეემატა კიდევ ერთი – ამერიკის საერთაშორისო კულტურის დიპლომანტის საპატიო წოდება.

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის კვლევის საერთაშორისო საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართველი მეცნიერი ბორის ლომსაძე უნდა ყოფილიყო XX საუკუნის დამლევის იმ ღირსეული მეცნიერების გვერდით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. ეს ბიოგრაფიული ტომი, რომელიც გამოვიდა 1997 წლის 24 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სულ 500 სწავლულის ბიოგრაფიულ ცნობებს მოიცავს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ კაცს მიენიჭა ეს დიდი ჯილდო.

ალსანიშნავია ისიც, რომ აქამდე, 1994 წელს ამერიკის მარკუსის გამომცემლობამ გამოაქვეყნა მისი ბიოგრაფია.

ინგლისში, კემბრიჯში არის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც გამოსცემს მსოფლიო დამსახურების მიხედვით განსაკუთრებით ღვაწლმოსილ მეცნიერთა ბიოგრაფიებს და ახლა სწორედ ბორის ლომსაძეს ხვდა წილად ეს დიდი პატივი.

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის საერთაშორისო საბჭომ ბატონ ბორის ლომსაძეს 1997 წლის მსოფლიო ადამიანის ტიტული მიანიჭა.

**ნანა სულავა.**

## ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ ქ. თბილისში ამ გაზეთის გასავრცელებლად ხელსაყრელი პირობებით სამუშაოდ იწვევს კერძო რეალიზატორებს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ:
თბილისი,
მ. კოსტავას 14. გაზეთ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
რედაქცია.
ტელ: 93-26-99



## სხარტულები



**მკვნწლავი გოდერძი...**

გენიალურ ბიჭს მივხედოთ –
გვადევს ასეთი ვალიო:
გინესის წიგნს რეკორდებით
აავსებს და დაკეცავს,
ეს ცოდვილი დედამიწა მართლა
არის მრგვალიო? –
საყრდენ წერტილს თუკი
მისცემთ, თავით მასაც
აკვნწლავს...



**პლანეტა – ველოთვლებით**

ალბათ საკვები სხვა მხარეში
ბევრჯერ ემქავა,
ალბათ სხეული ვერ გადურჩა
დაუქექავად,
მაინც ქართულ სულს,
ველოთვლებზე ამხედრებული,
მთელ პლანეტაზე დააქროლებს
ჯუმბერ ლექავა...




**ფიქრები ტელეეკრანზე ფეხბურთის ცქერისას და... სმენისას**

გოლი ხომ ლექსი არ არის –
გოლს არ შეშვენის „ავტორი“,
„აკრეფა“– კაკალს უხდება, არა
სიჩქარეს კაცისას,
ჩვენს ენას სხვა არ მიხედავს
– ჩვენ უნდა ვიყოთ პატრონი,
თორემ ეს უპატრონობა
ლაზათისაგან დაცლისა...

**თამაზ ებანოიძე.**

მხატვარი ვახტანგ კუცია.

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ქართველი ფერმწერი, ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 4. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, რეპლიკა, მონოლოგი. 6. ინდოელი მწერალი. 11. უნგრული ხალხური ცეკვა. 12. დიდი გარეული ფრინველი. 15. ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი. 17. მაგარი სპირტიანი სასმელი. 18. შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი. 19. ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ან უცხო ცილების განმეორებითი ზემოქმედების მიმართ. 20. ძველებური წონის ერთეული. 22. ძველი სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური საგმირო თქმულება. 23. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით. 24. 1966 წ. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა, სიმბოლო. 26. ქვეყნის ნაწილი. 29. 40-50-იანი წლების ქართველი ფეხბურთელი. 32. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება. 33. სიხარულის, კმაყოფილების გამომხატველი წამოძახილი რისამე აღმოჩენის, რისამე მიხვედრის დროს. 34. შეუვნებელი, ანგარიშმიუცემელი ლტოლვა რაიმესაკენ.

შვეულად. 1. წყლის დიდი ფრინველი. 2. XVIII-XIX ს. ინგლისელი დრამატურგი. 3. ქალაქი გერმანიაში. 4. ვალსსა და ზოგ სხვა ცეკვაში წრის ერთი შემოვლა. 5. საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს მემკვიდრეობით გადაცემული ზოგი საერთო ნიშან-თვისება. 7. საქონლის წონა უჭურჭლოდ, შეუფუთავად. 8. ბელგიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. 9. რისამე ტარიფის განსაზღვრა, დადგენა. 10. სახელგანთქმული ქართველი წყალბურთელი. 13. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი. 14. მომღერალი ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის სიმღერა ხიბლავდა არა მარტო ადამიანებსა და ცხოველებს, არამედ ქვებს, კლდეებს, მდინარეებსა და მისთ. 15. იტალიელი მწერალი, რომან „ჩოჩარას“ ავტორი. 16. XVIII ს. გერმანელი მწერალი. 21. იატაკზე დასაგები გრძელი და ვიწრო ქსოვილი სასიარულოდ. 24. ბაღი ძველ თბილისში, ყოფილ მიხეილის ქუჩაზე. 25. სათამაშო, რომელიც შედგება ციფრებიანი მუყაოს ბარათებისა და კოჭებისაგან. 27. უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი. 28. სიმებიანი საკრავი. 30. სიგრძის საზომი ერთეული ძველად. 31. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 18 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მისტიკა. 4. ვარიეტე. 9. რალი. 10. რიდე. 11. პიპინია. 14. ნოტა. 15. სიტრო. 17. აული. 18. ავარია. 19. ლიდერი. 23. სიმი. 24. ისარი. 25. ტოტო. 27. პროექტი. 31. არზა. 32. ვილა. 33. ავიაცია. 34. დივაისი.

შვეულად: 1. მერქანი. 2. სელი. 3. კავი. 5. აკრი. 6. ელია. 7. ესენცია. 8. ტვისტი. 12. ბატალია. 13. პატენტი. 15. სეირი. 16. იმიჯი. 20. კოსტაია. 21. პაკეტი. 22. კონდახი. 26. აზრი. 28. რალი. 29. ტუზი. 30. მითი.

## საქველმოქმედო მიზნით

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო ცენტრი 25 მაისს, 17 საათზე იწვევს დიდი ქართველი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედების ყველა თაყვანისმცემელს ერთობლივ საქველმოქმედო გალა-კონცერტზე, რომლის მთელი შემოსავალი და შემოწირული თანხა მოხმარდება მთაწმინდის პანთეონში მისი საფლავის კეთილმოწყობას.

ვახუშტი კოტეტიშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ტატო ვახუშტის ძე კოტეტიშვილი

პანაშვიდი 25, 26 V 5 ს. ბაგები, III კორპ. I სად. VI სართ. გამოსვენება 27 V. 4ს. ვერის ძველი სასაფლაოს ეკლესიიდან.

ციური მქავია და იამზე მაჭავარიანი თანაუგრძნობენ დავით ერქვანიას მამის

დავით ერქვანიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ვოფიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი: რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.